**Аннотация.** В данной работе ставится задача - распознавание антимикробных пептидов на основе их существующей базы, что является наиболее важной задачей и способствует формированию проблем новых антибиотиков. Зона распространения АМП характеризуется широким эволюционным спектром организмов.

Способность антимикробных пептидов бороться и уничтожать различные виды бактерий, грибки или микроорганизмы позволяют ученым использовать АМП для разработки новых антибиотиков.

В работе описан процесс распознавания АМП с искусственных нейронных сетей. Процедуры распознавания - обучение и распознавание нейронной сети осуществляется с помощью программы Matlab.

Также в работе описан процесс формирования аминокислотных последовательностей АМП и не-АМП (выборки);

Нейронная сеть прямого распространения выбрана и используется при исследовании нейронных сетей, что осуществляется несколькими алгоритмами. Рассмотрены результаты, полученные при исследовании для всех алгоритмов. Также рассмотрено сравнение алгоритмов.

Проанализирован и оценен набор признаков последовательностей АМП и не-АМП (реализации).

**Ключевые слова:** антимикробные пептиды; нейронные сети; распознавание.

*განხილვის თარიღი 16.06.2019*

*შემოსვლის თარიღი 19.06.2019*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.2019*

UDC 62.503.5

SCOPUS CODE 1712

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2019-4-56-65>

## პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების ძირითადი მეთოდები

<b>რუსუდან ქუთათელაძე</b>	ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: r.kutateladze@gtu.ge	ტექნიკური
<b>ანა კობიაშვილი</b>	ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: anakobia@hotmail.com	ტექნიკური
<b>თამაზ ვეკუა</b>	ეკონომიკური ინფორმატიკის დეპარტამენტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: tazo.vekua@gmail.com	ტექნიკური

### რეცენზენტები:

**რ. სამხარაძე**, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: rsamkharadze@mail.ru

**მ. კიკნაძე**, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: m.kiknadze@gtu.ge

**ანოტაცია.** პროგრამული უზრუნველყოფის გამართული მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. სხვადასხვა აპლიკაციის ფუნქციონირებისას გაჩენილმა შეცდომებმა და უწესივრობებმა შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული ფინანსური დანაკარგები. ამიტომ უადრესად აქტუალურია პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხიანი ტესტირება. აღწერილია პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების დოკუმენტაცია, მისი ძირითადი კომპონენტები, მოყვანილია პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და მასზე მუშაობის ეტაპების აღწერა, განხილულია ტესტირების ორი ძირითადი ტიპი, კერძოდ, მანუალური და ავტომატიზებული ტესტირება. მოყვანი-

ლია მაგალითი, რომელიც შესრულებულია დაპროგრამების ენაზე JAVA, JUNIT ფრეიმვორკის გამოყენებით. განხილულია JUNIT ფრეიმვორკის საშუალებით ტესტირებისთვის ყველაზე საჭირო კლასის Assert-ის მეთოდები შესაბამის პრაქტიკულ მაგალითთან ერთად. ნაშრომში ასევე მოკლედ არის გადმოცემული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების სხვადასხვა მეთოდი და ზოგადად ტესტირების სასიცოცხლო ციკლი.

**საკვანძო სიტყვები:** ალგორითმი; პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება; ტესტერი; ფრეიმვორკი.



## შესავალი

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება არის კვლევა, რომელიც ტარდება იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ინფორმაცია პროგრამული პროდუქტის ხარისხზე. დღესდღეობით ყველა საჯარო და კერძო კომპანიაში გამოიყენება სხვადასხვა პროგრამული აპლიკაცია; სწორედ მათი სწორად და გამართულად მუშაობისთვის არის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება. აპლიკაციის ტესტირების მიზანია იპოვოს მასში რაც შეიძლება მეტი შეცდომა, რათა ამ შეცდომების აღმოფხვრის შემდეგ პროგრამამ გამართულად იმუშაოს.

ახალი პროგრამული უზრუნველყოფა როდესაც იქმნება, ტესტირება უნდა იყოს მისი სასიცოცხლო ციკლის განუყოფელი ნაწილი, რათა საბოლოო ჯამში მივიღოთ ზუსტად ისეთი პროდუქტი, რომელიც შეესაბამება დამკვეთის მოთხოვნებს და მაქსიმალურად უშეცდომო იქნება.

ტესტირების შედეგად აღმოჩენილი შეცდომები და სხვა დეფექტები ანგარიშის სახით დეველოპერების გუნდს ეცნობება და მათი აღმოფხვრა მოხდება. მას შემდეგ, რაც შეცდომა გასწორდება, განმეორებითი ტესტირება მოხდება. პროგრამაში შეცდომის გასწორების შემდეგ უფრო სერიოზული შეცდომა შეიძლება გაჩნდეს ან/და საერთოდ ახალი შეცდომა წარმოიშვას. ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების შედეგად ხშირად შესაძლებელია მივიღოთ ობიექტური და დამოუკიდებელი ინფორმაცია პროგრამის ხარისხისა და რისკების შესახებ.

ზოგჯერ ტესტირების შემდეგ შესაძლოა ვერ მოხდეს იმის იდენტიფიცირება, რომ პროდუქტი სწორად მუშაობს ყველა პირობებში, მაგრამ შესაძ-

ლოა დადგინდეს, რომ ის გარკვეულ პირობებში არ მუშაობს.

პროგრამაში ტესტირების ადრე დაწყება ამცირებს ღირებულებას, პროგრამის გადაკეთებისათვის საჭირო დროსა და შეცდომების რაოდენობას. შესაბამისად, კლიენტი იღებს მაღალი ხარისხის პროგრამულ პროდუქტს.

## ძირითადი ნაწილი

ტესტირების სასიცოცხლო ციკლის ცნება საკმაოდ განსხვავებულია; სხვადასხვა კომპანიაში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული სასიცოცხლო ციკლი, თუმცა მისი გარკვეული სტანდარტული სქემა არსებობს. ეს სქემა შედგება შემდეგი ბიჯებისაგან:

**მოთხოვნების ანალიზი:** ტესტირების პროცესი მოთხოვნების გაანალიზებით უნდა დაიწყოს. ამ დროს ტესტირებმა უნდა გადაწყვიტონ, პროგრამის რომელი ასპექტები შემოწმდეს და რა პარამეტრებით იმუშაოს ამ ტესტებმა.

**ტესტირების დაგეგმვა:** საჭიროა შემუშავდეს ტესტირების სტრატეგია, შეიქმნას ტესტირების გეგმა. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ბევრი მოქმედებაა შესასრულებელი.

**ტესტ-დეველოპმენტი:** იქმნება ტესტ-პროცედურების, ტესტ-სცენარების, ტესტ-ქეისებისა და ტესტ-სკრიპტების ნაკრები, რომლებიც გამოიყენება სატესტო პროგრამაში.

**ტესტების შესრულება:** ტესტირები შესრულებაზე გაუშვებენ ტესტებს და რაიმე შენიშვნის შემთხვევაში აცნობებენ დეველოპერებს.

**ტესტირების ანგარიში:** ტესტირების დასრულების შემდეგ, ტესტირები ადგენენ ანგარიშს იმის

შესახებ, მზად არის თუ არა პროგრამა სამუშაოდ.

**ტესტირების შედეგის ანალიზი:** დეველოპერები ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ, თუ რა უნდა გამოსწორდეს ან რომელ შეცდომას არ უნდა მიექცეს ყურადღება.

**რეგრესიული ტესტირება:** ჩვეულებრივ პატარა პროგრამა უნდა გვექონდეს, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამაში ახალი მოდულის დამატებისას პროგრამის ყველა დანარჩენი ნაწილი უშეცდომოდ მუშაობდეს.

**ტესტის დახურვა:** მას შემდეგ, რაც მივიღებთ კრიტერიუმების შესაბამის მდგომარეობას, უნდა განისაზღვროს, თუ რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ, რომ შევინარჩუნოთ ძირეული შედეგები. პროექტთან დაკავშირებული მიღებული გაკვეთილები, შედეგები, ჟურნალები, დოკუმენტები დაარქივდება და ინახება, ხოლო მომავალში გამოიყენება, როგორც საცნობარო მასალა სამომავლო პროექტებისათვის.

პროგრამულ ტესტირებაზე თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად შემდეგი სპეციალისტები მუშაობენ: პროგრამების ტესტირები, პროგრამების დეველოპერები, პროექტის მენეჯერები და მომხმარებლები.

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებას აქვს სამი ძირითადი მიზანი: უწყველობების პოვნა, გადამოწმება, ვალიდაცია.

ტესტირების დოკუმენტაცია მოიცავს დოკუმენტაციის არტიფაქტებს, რომლებიც უნდა იყოს შედგენილი ტესტირების დაწყებამდე ან ტესტირების მიმდინარეობისას. ტესტირების დოკუმენტაციაში შედის:

- ტესტირების გეგმა (Test Plan);

- ტესტირების სცენარი (Test Scenario);
- ტესტების ნაკრები (Test Case);
- ტრასირების მატრიცა (Traceability Matrix).

**ტესტირების გეგმა** აღწერს სტრატეგიას, რესურსებს, ტესტირების გარემოს, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების დროს. ტესტირების გეგმის შედგენა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ტესტირების გეგმა მოიცავს: დოკუმენტის შესავალ ნაწილს, აპლიკაციის ტესტირების პროცესის მსვლელობის სავარაუდო ვერსიას, ტესტ-სცენარების სიას, გასატესტი ფუნქციების სიას, ტესტირებისათვის გამოყენებული მიდგომის მითითებას, გასატესტი ელემენტების სიას, პროგრამის ტესტირებისათვის საჭირო რესურსების ნუსხას, დავალებების ცხრილს და იმ რისკების ჩამონათვალს, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინოს ტესტირების დროს.

მოცემული ტესტირების კონკრეტულ მაგალითზე და კონკრეტული ტესტ-ქეისის შემთხვევაში, ტესტერს უნდა ჰქონდეს კრიტერიუმების კომპლექტი, რათა ტესტირების შესრულების შემდეგ გადაწყვიტოს, ტესტი წარმატებით იქნა შესრულებული თუ არა. ტესტირების გეგმის ამ ნაწილში უნდა იყოს შეტანილი მსგავსი კრიტერიუმების აღწერა. თუ ტესტი არ იქნა წარმატებით შესრულებული, ტესტი მარცხს განიცდის. ეს ხდება მაშინ, როდესაც პროგრამის შედეგი არ ემთხვევა იმას, რაც განსაზღვრულ პირობებში ტესტირების შედეგად იყო მოსალოდნელი. რეალურ შედეგსა და მოსალოდნელ შედეგს შორის სხვაობა შეიძლება განსაზღვრული იყოს ერთი ან რამდენიმე დეფექტით. დეფექტის გავლენა შეიძლება მინიმალურად აისახოს პროგრამის მომხმარებელზე ან დეფექტმა შეიძლება

მოახდინოს სისტემის შექმნა. შესაფასებლად გამოიყენება სკალები, მაგალითად, სკალაზე შეფასებით 1-დან – 4-მდე, დეფექტმა 1-ქულიანი შეფასებით შეიძლება გამოიწვიოს სისტემის შექმნა, ხოლო 4 ქულით შეფასებულმა დეფექტმა შეიძლება მინიმალური გავლენა მოახდინოს პროგრამის მომხმარებელზე.

მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ, რომ პროგრამულად ხდება ანგარიშის გენერირება Word-ის დოკუმენტში და მისი ამობეჭდვა; პროგრამის ტესტირების დროს გამოჩნდა, რომ ანგარიში და მასში შემავალი ტექსტი კორექტულია, მაგრამ დოკუმენტში აზნაცები არ არის გამოყოფილი. ასეთი შეცდომა შეიძლება შეფასდეს ზემოთ მოყვანილი სკალების მაგალითის მიხედვით 3-4 ქულით. 1-ქულიანი შეფასება ამ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს ისეთი სახის დეფექტმა, როგორცაა, მაგალითად, მომხმარებლის მიერ აღნიშნული ანგარიშის დასაგენერირებელ დოკუმენტზე ხელის დაჭერის შეცდომა, როცა ვეღარ ხერხდება ოპერაციის გაგრძელება. ასეთ დროს სისტემა გამოუსადეგარი ხდება. აღნიშნული შეფასების სისტემა ძალიან ეხმარება დეველოპერს დეფექტებისთვის პრიორიტეტების მინიჭებაში და მათი თანამიმდევრულად შესრულების დაგეგმვაში.

ტესტირების დამგეგმავს შეუძლია სკალირების ხერხი გამოიყენოს, რათა დაადგინოს პროგრამის შეცდომის მისაღები დონე. ტესტირების დროს დეფექტების რაოდენობა და მათი სირთულები თუ გადააჭარბებს მისაღებ დონეს, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებამ წარმატებით ვერ ჩაიარა.

**ტესტირების სცენარი** არის პირობა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი ნაწილი უნდა იყოს გა-

ტესტილი აპლიკაციაში. მისი საბოლოო მიზანია პროცესის სრული ტესტირების უზრუნველყოფა. ტესტირების სცენარი და ტესტების ნაკრები გამოიყენება როგორც სინონიმები, მაგრამ სხვაობა მათ შორის არის ის, რომ ტესტირების სცენარი მოიცავს რამდენიმე ბიჯს, ხოლო ტესტირების ნაკრები – კონკრეტულად ერთს. ერთი სცენარიდან შეიძლება გამოდიოდეს ტესტების რამდენიმე ნაკრები.

**ტესტების ნაკრები** შედგება რამდენიმე ბიჯისაგან – პირობებისაგან, რომლებიც გამოყენებულია ტესტირების დავალების შესრულებისას. მისი მთავარი მიზანია დადგინდეს, პროგრამული პროდუქტი ფუნქციონირებს სწორად თუ არასწორად. არსებობს ნაკრების რამდენიმე ტიპი: ფუნქციური, ნეგატიური, ლოგიკური და ა. შ. მთავარი კომპონენტები, რომლებსაც შეიცავს ყველა ნაკრები, არის: ნაკრების იდენტიფიკატორი, პროდუქტის მოდული, პროდუქტის ვერსია, ცვლილების ისტორია, მიზანი, ვარაუდები, წინაპირობები, ბიჯები, სავარაუდო შედეგი, არსებული შედეგი, შემდგომი პირობები.

**ტრასირების მატრიცა** არის ცხრილი, რომელიც გამოიყენება პროგრამული უზრუნველყოფის სასიცოცხლო ციკლის თვალყურის სადევნებლად.

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებაში არსებობს ტრასირების მატრიცების ტიპები: პირდაპირი ტრასირება, უკუმიმართულების ტრასირება, ორმაგი მიმართულების მქონე ტრასირება (პირდაპირი და უკუმიმართულებით).

არსებობს ტესტირების ორი ძირითადი ტიპი: მანუალური და ავტომატური.

**მანუალური ტესტირება** არის ტესტირების ტიპი, რომლის დროსაც ხდება პროგრამის ხელით ტესტირება და არ გამოიყენება ავტომატიზებული საშუა-

ლებები ან სკრიპტები. მანუალური ტესტირება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ინტერფეისი საკმაოდ ხშირად იცვლება ან თუ პროგრამა პატარა მოცულობისაა, რადგან ასეთ შემთხვევაში ავტომატური ტესტის შექმნას უფრო დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე მანუალურ ტესტირებას.

**ავტომატური ტესტირება** არის ტიპი, რომელშიც ტესტერი წერს სკრიპტს ან იყენებს სხვა გარე პროგრამას მოცემული პროგრამის ტესტირებისათვის. ავტომატიზებული ტესტირება გამოიყენება იმისათვის, რომ ის ტესტ-სცენარები ბევრად უფრო სწრაფად გაეშვას, რომლებიც შესრულებული იყო მანუალური ტესტირების დროს. ავტომატიზებული ტესტირება ზოგავს დროს მანუალურ ტესტირებასთან შედარებით ანუ ასეთი ტესტირების დადებითი მხარეა სისწრაფე.

არსებობს ტესტირების რამდენიმე მეთოდი: თეთრი ყუთის, შავი ყუთის, რუხი ყუთისა და ვიზუალური.

**შავი ყუთის ტესტირების** დროს ტესტირება ხდება მომხმარებლის ინტერფეისის დონეზე. ტესტერს არ აქვს წვდომა შიგა ლოგიკაზე და კოდის არქიტექტურაზე. მან არ იცის, ესა თუ ის შედეგი რა ოპერაციით შესრულების შედეგად მიიღება კოდის დონეზე.

**თეთრი ყუთის ტესტირება** არის შიგა ლოგიკისა და კოდის სტრუქტურის დეტალური გამოკვლევა. იმისათვის, რომ ტესტერმა შეასრულოს აღნიშნული ტიპის ტესტირება, მან უნდა იცოდეს კოდის მუშაობის რეჟიმი, მან აუცილებლად უნდა ჩაიხედოს პროგრამის კოდში და ნახოს, ესა თუ ის შეცდომა კონკრეტულად კოდის რომელ ნაწილში ხდება. ტესტერი ირჩევს მეთოდში შემავალ მნიშვ-

ნელობებს და ამით განსაზღვრავს, თუ რა შედეგს დააბრუნებს კონკრეტული ბლოკი. ტესტირების ამ ტიპისათვის საჭიროა გამოცდილი ტესტერი, რომელსაც აქვს ასევე კოდის სტრუქტურის აღქმისა თუ კოდის წერის უნარი.

**რუხი ყუთის ტესტირება** არის ტექნიკა, რომელშიც ხდება აპლიკაციის გატესტვა იმ შეზღუდული ცოდნის ხარჯზე, რომელიც არსებობს შიგნით – პროგრამის ლოგიკასა და სტრუქტურაში. ტესტერს ამ შემთხვევაში აქვს წვდომა პროგრამის დიზაინსა და მონაცემთა ბაზებზე. ამ ცოდნის მქონე ტესტერს უმარტივდება ტესტების მონაცემებისა და სცენარების მომზადება, ტესტ-სცენარების შედგენისას. იცის რა პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის ძირითადი ლოგიკა, ტესტერი უკეთესად და მარტივად აკეთებს არჩევანს.

**ვიზუალური ტესტირების** მიზანია დაანახოს დეველოპერს, რა დროს ხდება პროგრამის შესრულებისას შეცდომის წარმოშობა. ვიზუალური ტესტირება მოითხოვს ჩაიწეროს ტესტირების პროცესის ყველა ეტაპი, რათა თვალნათლივ ჩანდეს, თუ რა დროს ხდება შეცდომა. ვიზუალური ტესტირების დადებითი მხარე ის არის, რომ ტესტერს შეუძლია მაგალითის ხარჯზე დეველოპერს აჩვენოს პროგრამაში მომხდარი შეცდომა, რაც მას უმარტივებს შეცდომის აღმოფხვრას. ასევე ტესტირების აღნიშნული ტიპი ამარტივებს კომუნიკაციას ტესტერსა და დეველოპერს შორის.

პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებობს მრავალფეროვანი აპლიკაციები, რომლებიც იყოფა გარკვეულ კლასებად, მაგალითად, Desktop აპლიკაციები, რომლებიც ძირითადად გამოიყენება გამოთვლითი სამუშაოების შესასრულებლად. ტესტები

ხშირად ჯგუფდება იმის მიხედვით, პროგრამაში თუ სად არის დამატებული ან ტესტირების დონეების მიხედვით. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის დროს გამოიყენება სამი ძირითადი დონე: კომპონენტების ტესტირება, ინტეგრაციული ტესტირება და სისტემური ტესტირება, ხოლო დანარჩენი დონეები გამოიყენება ტესტირების მიზნის მიხედვით. ტესტირების ყოველ დონეს ან ყოველ ტესტს უნდა ჰქონდეს შესასვლელი სპეციალური კრიტერიუმით და ასევე გამოსასვლელი კონკრეტული კრიტერიუმებით.

კომპონენტების ტესტირების მიზანია მოხდეს პროგრამის კოდის კონკრეტული ნაწილის ფუნქციონირების შემოწმება იმ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, რისთვისაც შეიქმნა კომპონენტი. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებაში ასეთი სახის ტესტირება დაყვანილია კლასის დონეზე, ხოლო მინიმალური დონეა კონსტრუქტორების ტესტირება. კომპონენტების ტესტირებებს, როგორც წესი, წერენ დეველოპერები, რათა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული მეთოდი ისე მუშაობს, როგორც მათ ჩაიფიქრეს და განახორციელეს. კონკრეტულ მეთოდს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ტესტი ყველა იმ შესაძლო პარამეტრით ტესტირებისათვის, რომლებიც შეიძლება გადაეცეს პროგრამაში მეთოდს.

ინტეგრაციული ტესტირება ითვალისწინებს პროგრამული უზრუნველყოფის ყველა იმ კომპონენტისა და მოდულის ტესტირებას, რომლებიც არის ახალი, შეცვლილი ან რომელზეც იმოქმედა სხვა ცვლილებამ. იმ დროს, როდესაც სისტემის ტესტირება ცდილობს მინიმალურ დონეზე დაიყვანოს პროგრამის ტესტირებისას გარეშე ფაქტორები, ინტეგრაციული ტესტირება მოითხოვს სხვა სი-

სტემებისა და ინტერფეისების ჩართულობას. ინტეგრაციულ ტესტირებას აქვს კიდევ ტესტირების შიგა ტიპები, რომლებიც პროგრამის ტიპზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება იქნეს ან არ იქნეს გამოყენებული; ესენია: ტესტირება შეთავსებადობაზე, ტესტირება მწარმოებლურობაზე, ტესტირება სტრესზე და ტესტირება დატვირთვაზე.

- ტესტირება შეთავსებადობაზე არის ტესტირების ტიპი, რომელიც მოიცავს პროგრამის მუშაობას სხვადასხვა სისტემაზე. მაგალითად, ვებპროგრამის ტესტირება ხდება სხვადასხვა ინტერნეტბრაუზერზე.
- ტესტირება მწარმოებლურობაზე გამოიყენება პროგრამის მასშტაბურობის ტესტირებისათვის, მაგალითად, როდესაც აპლიკაციაში დამატებულია ბევრი მომხმარებელი ან მონაცემთა რაოდენობა იზრდება. ძირითადი მიდგომა ისაა, რომ შეაგროვოს დროითი პარამეტრების მნიშვნელობები კრიტიკული ბიზნესპროცესის დროს, როცა მაქსიმალურად დაბალ დონეზე არის დატვირთული, ხოლო შემდეგ შეაგროვოს იგივე მნიშვნელობები უკვე მაქსიმალურად მაღალი დატვირთვისას.
- ტესტირება სტრესზე გამოიყენება პროგრამის მაღალ დონეზე დატვირთვის ტესტირებისათვის. ხდება პროგრამის გაშვება მისი დატვირთულობის მაქსიმალურ ლიმიტზე, რათა მოხდეს იმ წერტილის დადგენა, სადაც ხდება შეცდომა.
- ტესტირება დატვირთვაზე არის სტრესის ტესტირების საწინააღმდეგო; ამ დროს ხდება პროგრამის შესაძლებლობების შემოწმება

ნორმალური დატვირთვით. იზომება მისი რეაგირების დრო კრიტიკული ოპერაციების შესრულებისას, რათა დადგინდეს, ის არის თუ არა ბიზნესის მოთხოვნების ფარგლებში და აკმაყოფილებს თუ არა მომსახურების დონეს.

**სისტემური ტესტირება** არის ტესტირება, რომელიც ამოწმებს მთლიან ინტეგრირებულ სისტემას იმაში დასარწმუნებლად, რომ სისტემა მუშაობს მისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, სისტემის ტესტირებისას ხდება Login ინტერფეისის ტესტირება, შემდეგ ახალი ჩანაწერების განხორციელება, მათი რედაქტირება. ასევე პრინტერზე ბეჭდვა, შემდეგ ჩანაწერების წაშლა და ბოლოს სრულდება Log off ფუნქცია. ეს იგივეა, რომ მოხდეს პროგრამის უხეშად ტესტირება და მისი მხოლოდ ძირითადი ფუნქციები შემოწმდეს. შეცდომის დაფიქსირების და მისი აღმოფხვრის შემდეგ ყველა ტესტი თავიდან უნდა იქნეს გაშვებული იმაში დასარწმუნებლად, რომ შეცდომის აღმოფხვრამ პროგრამის რაიმე სხვა ნაწილი არ დააზიანა.

**ტესტირება უსაფრთხოებაზე** არის ტესტირება, რომლის დროსაც ხდება პროგრამის შემოწმება უსაფრთხოებაზე ანუ პროგრამის შემოწმება ჰაკერული შემოტევებისაგან თავდასაცავად და მოწმდება, თუ რამდენად უსაფრთხოა იგი და რამდენად შესაძლებელია მისგან ინფორმაციის მოპარვან მსგავსი უკანონო ქმედება.

**ტესტირება მისაღებობაზე** არის ტესტირება, რომელსაც ასრულებს დამკვეთი იმის განსაზღვრისათვის, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამა მის მოთხოვნებს. ამ ეტაპის გავლის შემდეგ გადაწყდება, პროგრამა უნდა იქნეს თუ არა მიღებული.

**რეგრესიული ტესტირების** მიზანია, გადაამოწმოს, რომ პროგრამაში ახალმა დამატებულმა მოდულმა თუ კომპონენტმა ხომ არ გამოიწვია სისტემის ძველი ნაწილის გაფუჭება. ამისათვის ხდება ყველა არსებული ტესტის თავიდან გაშვება ახალ ტესტთან ერთად, რისთვისაც ხშირად იყენებენ ავტომატურ ტესტირებას, რათა მოხდეს ძველი ტესტების სწრაფად და მრავალჯერადად გაშვება.

განვიხილოთ ერთი კონკრეტული მეთოდის ტესტირების მაგალითი. მაგალითში გამოყენებულია დაპროგრამების ენა Java და ტესტირების ფრეიმვორკი JUNIT.

ვთქვათ, გვაქვს შემდეგი მეთოდი:

```
public class StringMethods {
    public String Concatenate(String a, String b) {
        return a + b;
    }
}
```

Unit Tests იმპლემენტირებულია კლასების სახით, რომელსაც აქვს ტესტ-მეთოდები. ხშირ შემთხვევაში ყოველი ტესტ-მეთოდი ახდენს ერთი კლასის ერთი მეთოდის ტესტირებას. ზოგ შემთხვევაში ერთი ტესტ-მეთოდი შეიძლება ახდენდეს რამდენიმე მეთოდის ტესტირებას კლასში, ხოლო ზოგჯერ თუ გასატესტი მეთოდი მოცულობით დიდია, შეიძლება დაიყოს და რამდენიმე ტესტ-მეთოდით გაიტესტოს.

ქვემოთ მოცემულია ტესტ-მეთოდი:

```
Org.Junit.Test;
Import statc org.junit.Assert.*;
public class StringMethodsTest{
```

```
@Test
public void ConcatenateTest(){
    StringMethods stringMethods = new StringMethods();
    String result = stringMethods.Concatenate("Saxeli",
"Gvari")
    assertEquals("SaxeliGvari", result)
}
}
```

StringMethodsTest კლასი არის ტესტ-კლასი ერთი მეთოდით ConcatenateTest(), ტესტ-მეთოდი იწყება ანოტაციით @Test, რომელიც ტესტის გამშვებ პროგრამას ატყობინებს, რომ კლასში გამოყენებულია ტესტ-მეთოდი.

ConcatenateTest მეთოდის შიგნით შექმნილია StringMethods კლასის ობიექტი, რომლის საშუალებითაც შემდეგ ვიძახებთ მეთოდს Concatenate().

ასევე ტესტ-მეთოდის ტანში არის მეთოდი assertEquals(); ტესტირებას სწორედ ეს მეთოდი აკეთებს. ჩვენს მაგალითში ვადარებთ Concatenate მეთოდის გამოსავალს მოსალოდნელ შედეგს ანუ "SaxeliGvari" სტრიქონს ვადარებთ მოსალოდნელ შედეგს, მეთოდი Concatenate-დან დაბრუნებულ პასუხს, რომელიც ინახება ცვლადში Result.

თუ მოცემული ორი ცვლადი ერთმანეთის ტო-

ლი აღმოჩნდება, მეთოდი assertEquals დააბრუნებს True-ს და ტესტირება წარმატებით შესრულდება, ხოლო თუ ორი ცვლადი არ უდრის ერთმანეთს, ადგილი ექნება გამონაკლის შემთხვევას და ტესტირება მარცხით დამთავრდება; შესაბამისად გაჩერდება გაშვებული ტესტირების პროცესი.

შესაძლებელია ტესტ-კლასში გვექონდეს იმდენი ტესტ-მეთოდი, რამდენიც მოგვსურვება. ტესტის შემსრულებელი პროგრამა იპოვნის მათ ანოტაციის მიხედვით და გაუშვებს სათითაოდ.

## დასკვნა

პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება უაღრესად მნიშვნელოვანია პროდუქტის მაღალი ხარისხის გარანტიისათვის. ტესტირება პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის განუყოფელი ნაწილია; ის უზრუნველყოფს დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის მიღებას, რომელიც იქნება მაქსიმალურად უშეცდომო. ტესტირება ასევე საშუალებას აძლევს ბიზნესის წარმომადგენლებს შეაფასონ ბიზნეს-რისკები, რომლებიც განხორციელდა პროგრამულ უზრუნველყოფაში, და დაადგინონ, რამდენად გამოსადეგია ეს პროგრამული საშუალებები მოხმარებლისათვის.

## ლიტერატურა

1. Surguladze G., Gulitashvili M., Kiviladze N. Webapplications testing, validation and verification. Technical University. Tbilisi. 2015, 199p. (in Georgian).
2. URL: [https://en.wikipedia.org/wiki/Software\\_testing](https://en.wikipedia.org/wiki/Software_testing)
3. URL: [https://www.tutorialspoint.com/software\\_testing/index.htm](https://www.tutorialspoint.com/software_testing/index.htm)
4. URL: <http://testingbasicinterviewquestions.blogspot.com/2015/03/system-testing-example-complete-guide.html>
5. URL: <https://www.guru99.com/test-scenario.html>

6. URL: <https://blog.testlodge.com/how-to-write-test-cases-for-software-with-sample/>
7. URL: <https://www.guru99.com/traceability-matrix.html>
8. URL: [http://www.cs.ubbcluj.ro/~cretu/VVSS2014\\_2015/Bibliography/Springer.Verlag.Practical.Software.Testing.eBook-KB.pdf](http://www.cs.ubbcluj.ro/~cretu/VVSS2014_2015/Bibliography/Springer.Verlag.Practical.Software.Testing.eBook-KB.pdf)

---

UDC 62.503.5

SCOPUS CODE 1712

### Basic methods of software testing

- Rusudan Kutateladze** Department of Business Administration, Georgian Technical University, 77 M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia  
E-mail: r.kutateladze@gtu.ge
- Ana Kobiashvili** Department of Economic Informatics, Georgian Technical University, 77 M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia  
E-mail: anakobia@hotmail.com
- Tamaz Vekua** Department of Economic Informatics, Georgian Technical University, 77 M. Kostava str, 0160 Tbilisi, Georgia  
E-mail: tazo.vekua@gmail.com

### Reviewers:

- R. Samkharadze**, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU  
E-mail: rsamkharadze@mail.ru
- M. Kiknadze**, Professor, Faculty of Informatics and Control Systems. GTU  
E-mail: m.kiknadze@gtu.ge

**Abstract.** Software performance is very important. Errors and malfunctions during functioning of various applications may result in serious financial losses. That is why the qualitative testing of software is actual. The article describes software testing documentation, its core components, the software development and stages of its work. Two basic types of testing, particularly, manual and automated testing, are reviewed. An example is drawn up which is performed on the programming language JAVA, using JUNIT framework. The most essential Assert class methods for the testing with framework JUNIT, along with relevant practical example, are discussed. The paper also briefly examines various methods of software testing and the cycle of testing in general.

**Key words:** Algorithm; framework; software testing; tester.



UDC 62.503.5  
SCOPUS CODE 1712

## Основные методы тестирования программного обеспечения

- რუსუდან კუტატელაძე**      Департамент бизнес-администрирования, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: r.kutateladze@gtu.ge
- ანა კობიაშვილი**      Департамент экономической информатики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: anakobia@hotmail.com
- თამაზ Векуა**      Департамент экономической информатики, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 77  
E-mail: anakobia@hotmail.com

### Рецензенты:

- Р.Самхарაძე**, профессор факультета информатики и систем управления ГТУ  
E-mail: rsamkharadze@mail.ru
- М.Кикнадзе**, профессор факультета информатики и систем управления ГТУ  
E-mail: m.kiknadze@gtu.ge

**Аннотация.** Очень важна исправная работа программного обеспечения. Ошибки и неисправности в работе различных приложений могут привести к серьезным финансовым потерям. Именно поэтому чрезвычайно актуально качественное тестирование программного обеспечения. В статье описывается документация по тестированию программного обеспечения, ее основные компоненты, разработка программного обеспечения и этапы работы, рассматриваются два основных типа тестирования: мануальное и автоматическое тестирование. Приведен пример на языке программирования JAVA с использованием фреймворка JUNIT. Рассматриваются наиболее важные методы оценки Assert, применяемые при тестировании с использованием фреймворка JUNIT, а также соответствующий практический пример. В статье также кратко рассматриваются различные методы тестирования программного обеспечения и цикл тестирования в целом.

**Ключевые слова:** алгоритм; тестер; тестирование программного обеспечения; фреймворк.

*განხილვის თარიღი 28.05.2019*

*შემოსვლის თარიღი 14.05.2019*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.2019*

UDC 627.11:627.81

SCOPUS CODE 1900

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2019-4-66-74>

## წყალსადინარის გასწვრივ კალაპოტური წარმონაქმნების განაწილების ხასიათი

**მაია კუპრავიშვილი** აგროინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი. დ. გურამიშვილის გამზ. 17  
E-mail: m.kupravishvili@gtu.ge

### რეცენზენტები:

**თ. ოდილავაძე**, სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: adilavadze2004@yahoo.com

**რ. დიაკონიძე**, სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი

E-mail: robertdia@mail.ru

**ანოტაცია.** წყალსადინარის გასწვრივ ღვარცოფების მოძრაობისას კალაპოტური წარმონაქმნების განაწილება მეტად რთული და მრავალი ფაქტორით განპირობებული პროცესია, რომელიც უპირატესად დამოკიდებულია თვით ამ ნარევის სახეობაზე. ამ მხრივ, განხორციელდა საველე ექსპერიმენტი მლეთის ხევზე, რომელიც შედარებით რეპრეზენტატიულ სურათს იძლეოდა ღვარცოფული დანალექის გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრის მხრივ. აღსანიშნავია, რომ საველე ექსპერიმენტი ჩატარდა მლეთის ხევზე 20 წლის წინ (1999 წ. წლის აგვისტოში) და განსაზღვრა წყალსადინარის კალაპოტში არაერთხელ მოსული ღვარცოფის დანალექი, რომლის შესწავ-

ლის დროსაც დადგინდა ასევე მოსული ღვარცოფების სახეობა.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, წყალსადინარის გასწვრივ კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების განაწილება მოხდა არა მარტო ფრაქციათა მედიანური დიამეტრის, არამედ ამ ნაწილაკების ფორმების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** გრანულომეტრიული შედგენილობის დიფერენცირებული მრუდები; გრანულომეტრიული შედგენილობის ინტეგრალური მრუდები; ნაწილაკთა მედიანური დიამეტრი; ნაწილაკთა ფორმა; პროლუვიონი; სატრანზიტო ზონა.

## შესავალი


ღვარცოფული მოვლენები საქართველოს თითქმის ყველა რაიონისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მასშტაბურობით და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ზემოქმედების თვალსაზრისით, გამოირჩევა შიგა კახეთი, სვანეთი, აჭარის მთიანეთი, სამაჩაბლო, მდინარეების – თერგისა და არაგვის ხეობები და სხვა.

ამჟამად, მთის მდინარეების – არაგვის, ლიახვის, ალაზნის აუზების მცენარეულ საფარს მოკლებული ზოგიერთი უბნები ღვარცოფსაშიში კერებია, რომლებმაც განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება კატასტროფული ხასიათის ღვარცოფებიც კი წარმოქმნას. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ღვარცოფწარმომქმნელი კერების ფართობი დროთა განმავლობაში იზრდება, რაც უფრო მძლავრი

ღვარცოფული მოვლენების წარმოშობის საწინდარი ხდება. ღვარცოფული მოვლენების შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მათი მოძრაობის და დალექვის პროცესი; ჩვენ ინტერესს წარმოადგენდა ღვარცოფულ წყალსადინარში დალექილი მასის გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრა.

## ძირითადი ნაწილი

ღვარცოფული წყალსადინარებისათვის კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების (პროლუვიონის) ფრაქციული შედგენილობის განსაზღვრის მიზნით, სავლეთ ექსპერიმენტი ჩატარდა მლეთის ხევის კალაპოტში, სადაც ლაკონურად არის წარმოდგენილი ღვარცოფული წყალსადინარის სათავე, სატრანზიტო და აკუმულაციის უბნები. (იხ. სურ. 1).



სურ. 1. ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარი (მლეთის ხევი)

მლეთის ხევის წყალსადინარის სათავე უბანი წარმოდგენილია კანიონის სახით, რომლის ფერდების დაფერდება  $50^{\circ} \div 60^{\circ}$ -ია და იგი  $45^{\circ} \div 20^{\circ}$  – მდე მცირდება, კალაპოტის ფსკერის სიგანე სატ-

რანზიტო ზონის დასასრულამდე  $4 \div 5$  მ-დან იზრდება  $10 \div 15$  მ-მდე. ნარიყის კონუსი წარმოდგენილია  $60^{\circ} \div 80^{\circ}$ -მდე გაშლილი კონუსის სახით, მისი ზედაპირი შედარებით ამობურცულია და

წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშოვანი და მასზე ნაკლები ზომის ფრაქციებით. კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების გრანულომეტრიული შედგენილობის განსაზღვრის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული წყალსადინარი ხასიათდება არაბმული (ტურბულენტური) ღვარცოფების გავლით.

ექსპერიმენტის მიზანი იყო წყალსადინარში პროლუვიონის გრანულომეტრიული შედგენი-

ლობის განაწილების დადგენა, კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების ფორმისა და ზომის გათვალისწინებით.

ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, პროლუვიონის გრანულომეტრიული შემადგენლობის განსაზღვრა განხორციელდა ფოტოანალიტიკური მეთოდით სატრანზიტო ზონის 5-5 მეტრით დაშორებულ 11 კვებში. (იხ. სურ. 2).



ა)



ბ)




გ)


სურ. 2. ა) სატრანზიტო ზონის შუაწელამდე, ბ) შუაწელზე და გ) შუაწელის დასასრულ დალეკილი კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკები

ფოტოსურათების ანალიზის საფუძველზე, სატრანზიტო ზონის გასწვრივ ღვარცოფული დანალექის გრანულომეტრიული შედგენილობა გამოისახა


დიფერცირებული სახით, რამაც საშუალება მოგვცა, უფრო ნათლად განგვესაზღვრა დანალექის ერთგვაროვნება (იხ. სურ. 3).



ა



ბ



გ

სურ. 3. ა) სატრანზიტო ზონის შუაწელამდე, ბ) სატრანზიტო ზონის შუაწელზე და  
 გ) სატრანზიტო ზონის დასასრულ დაფიქსირებული კალაპოტწარმოქმნილი ნაწილაკების  
 გრანულომეტრიული შედგენილობის დიფერცირებული მრუდები

მიღებული მონაცემები მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით დამუშავების შემდეგ დადგინდა ნაწილაკთა საშუალო დიამეტრი, ასიმეტრია,


ექსცესი. გრანულომეტრიული შედგენილობის მრუდები გამა-განაწილების კანონით აღიწერა.

როგორც მე-3 სურათიდან ჩანს, სატრანზიტო ზონის შუაწელამდე და დასასრულ პროლუვიონის გრანულომეტრიული შედგენილობის დიფერენცირებული მრუდები შედარებით გლუვია, ვიდრე სატრანზიტო ზონის შუაწელზე, რაც ნაწილაკების ერთგვაროვნებაზე მიუთითებს. კალაპოტის შუაწელამდე ძირითადად დაილექა ბრტყელი, პირამიდული ფორმის დიდი ზომის ქვები, საშუალო დიამეტრით  $d=0.07\pm 0.11$  მ; ხოლო სატრანზიტო ზონის დასასრულ კი იგივე დიამეტრის, მაგრამ შედარებით დამრგვალებული ფორმის ქვები, ხოლო შუაწელის კვთებში გაჩერდა პირამიდული ფორმის შედარებით მცირე ზომის ნაწილაკები ( $d=0.032\pm 0.087$  მ).

თუ ყურადღებას მივაქცევთ პროლუვიონის ნაწილაკთა ფორმებს, მივხვდებით, რომ სატრანზიტო

ზონის შუაწელამდე დალექილი ნაწილაკები საგრძნობლად შვერილებიანი და ბრტყელი ფორმებით ხასიათდება. სატრანზიტო ზონის შუაწელზე კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების ფორმა წარმოდგენილი პირამიდული მოხაზულობით, ხოლო შუაწელის შემდგომ დამრგვალებული (კუბური და პრიზმული) ფორმით. სწორედ ფორმის გავლენამ განაპირობა პროლივიონის ასე ვთქვათ, “ანომალური განაწილება“ სატრანზიტო ზონის კასწვრივ.

კალაპოტური წარმონაქმნების გრანულომეტრიული შედგენილობის ცვალებადობის დასადგენად მე-2 სურათზე მოყვანილ იქნა წყალსადინარის გასწვრივ დალექილი ღვარცოფული მასის გრანულომეტრიული შედგენილობის ინტეგრალური მრუდები.



d, მმ

სურ. 4. სატრანზიტო ზონაში დალექილი ღვარცოფული გამონატანის გრანულომეტრიული შედგენილობის ინტეგრალური მრუდები

მრუდების ანალიზი მოყვანილ იქნა ცხრილის სახით:

**პროლუვიონის გრანულომეტრიული შედგენილობა  
 მლეთის ხევის სატრანზიტო ზონაში**

სატრანზიტო ზონის კვეთები	ფრაქციათა პროცენტული შედგენილობა, %				
	მტვერი და თიხა- კოლოიდი <0.01 მმ	ქვიშა 0.01-2.0 მმ	ხრეში 2-10 მმ	ღორღი 10-200 მმ	ლოდები 200< მმ
შუაწელამდე	5	25	35	25	10
შუაწელზე	5	10	30	55	–
დასასრულ	3	5	15	70	7

საყურადღებოა, რომ წყალსადინარის სიგრძის გასწვრივ დაღეპილ პროლუვიონში შეიმჩნევა 2÷10 მმ ზომის ფრაქციების თანდათანობითი შემცირების და 10÷200 მმ დიამეტრის მქონე ქვების მატების ტენდენცია. ქვიშა-ხრეშის ფრაქცია, მიუხედავად მათი მცირე ზომისა, დიდი რაოდენობით დარჩა სატრანზიტო ზონის ზემო ნაწილში, როცა მათზე დიდი ზომის ქვები ინტენსიურად გადაადგილდა ქვედა ნაწილში. ასევე საინტერესოა 200 მმ-ზე მეტი ფრაქციის გადაგორება სატრანზიტო ზონის დასასრულ, რაც მიუთითებს მათი ზედაპირის ფორმაზე.

**დასკვნა**

ექსპერიმენტის შედეგად, რომელიც განხორციელდა მლეთის ხევის წყალსადინარზე, დადგინდა პროლუვიონის განაწილება ნაწილაკთა საშუალო დიამეტრის მიხედვით შემდეგნაირად: სატრანზიტო ზონის შუაწელამდე გაჩერდა საკმაოდ

დიდი დიამეტრის მქონე ქვები და ლოდები საგრძნობლად შვერილებიანი და ბრტყელი ფორმის ზედაპირებით. სატრანზიტო ზონის შუაწელზე გაჩერდა პირამიდული ფორმის, შედარებით მცირე ზომის ქვები; ხოლო სატრანზიტო ზონის დასასრულ ადგილი ჰქონდა საკმაოდ დიდი ზომის მქონე ქვების გაჩერებას, უფრო დამრგვალებული (კუბური და პრიზმული) ფორმის მქონე ზედაპირებით, რამაც განაპირობა მათი გადაგორება აღნიშნულ ადგილამდე. აქედან გამომდინარე, კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების მოძრაობა და დაღეპვის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ნაწილაკთა ზომის, ასევე მათი ფორმის მახასიათებელ პარამეტრებზეც.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს ეკოლოგიურად და ეკონომიკურად ეფექტური ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას.

### ლიტერატურა

1. Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I. Influence of morphometrical and hydraulic characteristics on the form of cross-section of a channel. *Annals of agrarian science*. Vol. 7. №2. 2009, 114-116 pp.
2. Kruashvili I, Loiscandl W., Inashvili I., Bziava K., Himmelbauer M. Debris flow channel processes and determination of the lateral compression ratio. 5th international conference “Debris flows: Disasters, risk, forecast, protection”. Tbilisi. 2018, 643-649 pp.
3. Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Lortkipanidze D. Determining the properties of hyperconcentrated flow. *International journal of innovative research in science, engineering and technology (IJIRSET)*. Vol. 5. Issue 11. 2016, 6 p.
4. Kruashvili I.G., Kukhalashvili E.G., Inashvili I.D., Bziava K.G. Debris flow phenomena. Risk, Prediction, Protection. monografia. saqartvelos teqniki universiteti, tbilis, 2017, 249 gv.(in Georgian).
5. Natishvili O.G., Kruashvili I.G. Deceived infrastructure objects from mudflows. (Environmental issues). (L.A.P. lambert Academic Publishing, Germania, 2016, 104 st. (in Russian).
6. Natishvili O.G., Kruashvili I.G., Inashvili I.D. Applied problems of the dynamics of connected mudflows. Monografia, ООО “Nauchtextlituzdat” Moskva, 2018, 144 st. (in Russian).
7. Natishvili O.G., Kruashvili I.G. Protection of objects from the harmful effects of mudflows. *J. Ekologicheskie sistemi I pribori*, #7, 2015, st.20-30. (in Russian).
8. Sheko A.I. Methods of studying and predicting of exogenous geological processes. M. 1988, st. 215 ( in Russian)
9. Takahashi T. Debris flow. Taylor and Francis Group. London,UK, 2007, 465 p. (in English).
10. Ventcel E.S., Ovcharov L.A. Applied problems of probability theory. M. “Radio I sviaz”.1983, st.414 (in Russian).



UDC 627.11:627.81  
SCOPUS CODE 1900

## The distribution of channel formations (proluvium) along the watercourse

**Maia Kupravishvili** Department of Agro-Engineering, Georgian Technical University, 17 D. Guramishvili Str, 0192, Tbilisi, Georgia  
E-mail: m.kupravishvili@gtu.ge

### Reviewers:

**T. Odilavadze**, Associate Professor, Faculty of Agricultural Science and Biosystems Engineering, GTU  
E-mail: adilavadze2004@yahoo.com

**R. Diakonidze**, Professor, Tsotne Mirskhulava Water Management Institute of the Georgian Technical University  
E-mail: robertdia@mail.ru

**Abstract.** As a result of experiment conducted on the watercourse Mletis-Khevi, proluvium distribution was determined by the average particle diameter as follows: stones and boulders with large diameters, ledges and flat surface shapes had stopped at the middle of the transit zone meanwhile fractions of relatively smaller diameter with pyramid shapes had stopped in the middle of the transit zone and large stones with rounded surfaces were noted at the end of the transit zone.

Thus, the motion and sedimentation of the sedimentary particles depend not only on the size (diameter) but also on the shape of the particles.

Taking into account above mentioned will enable us to conduct ecologically and economically effective mudflow measures.

**Key words:** Differential curves of granulometric composition; integral curves of granulometric composition; median particle diameter; particle shape; proluvium; transit zone.

UDC 627.11:627.81  
SCOPUS CODE 1900

### Характер распределения русловых образований (пролювиона) вдоль водотока

**Мая Куправишвили**      Департамент Агроинженерии, Грузинский Технический Университет, Грузия,  
0192, Тбилиси. пр. Д. Гурамишвили 17  
E-mail: m.kupravishvili@gtu.ge

#### Рецензенты:

**Т. Одилавадзе**, ассоциированный профессор факультета аграрных наук и инженеринга биосистем ГТУ  
E-mail: adilavadze2004@yahoo.com  
**Р. Диаконидзе**, профессор водного хозяйства Института Цотне Мирцхулава ГТУ  
E-mail: robertaia@mail.ru

**Аннотация.** В результате эксперимента, проведенного на водотоке Млетис-Хеви, распределение пролювиона было определено по среднему диаметру частиц следующим образом: до середины транзитной зоны остановились камни и валуны с большими диаметрами, с выступами и плоскими формами поверхности, в середине транзитной зоны остановились фракции относительно меньше диаметром пирамидальных форм, а в конце транзитной зоны были отмечены большие камни с округлёнными поверхностями.

Таким образом, движение и седиментация осадочных частиц существенно зависит не только от размера (диаметра), но и от их форм частиц.

Предусмотрение вышеуказанного даст возможность проводить экономически и экологически эффективные противоселевые мероприятия в транзитной зоне селевого водотока.

**Ключевые слова:** водоток; дифференциальные кривые гранулометрического состава; интегральные кривые гранулометрического состава; пролювион; средний диаметр частиц; транзитная зона; форма частиц.

*განხილვის თარიღი 28.06.2019*

*შემოსვლის თარიღი 28.07.2019*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.12.2019*

UDC 627.152.12

SCOPUS CODE 1900

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2019-4-75-81>

## ერთი და იმავე დიამეტრის ნაწილაკთა შინაგანი ხახუნის კუთხეთა ფარდობა

**მაია კუპრავიშვილი** აგროინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. 17.  
E-mail: m.kupravishvili@gtu.ge

### რეცენზენტები:

**მ. მელაძე**, სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მთავარი თანამშრომელი

E-mail: m.meladze@gtu.ge

**რ. დიაკონიძე**, სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი

E-mail: robertdia@mail.ru

**ანოტაცია.** საქართველოში, გლობალური დათბობის ფონზე, ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარე ჰიდროლოგიურ-კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო ისეთი საშიში ეგზოგენურ-ენდოგენური კატასტროფული მოვლენის განვითარებას, როგორც ღვარცოფია. ღვარცოფების ჩამოყალიბება და მისი მოსვლის მასშტაბურობა დიდად დამოკიდებული მთის და მთისწინა რეგიონებში ეროზიულ-ღვარცოფული კერების და წყალსადინარების კალაპოტების გარეცხვა-დალექვის ურთიერთჩანაცვლებად პროცესებზე, რაც განპირობებულია, კალაპოტწარმომქმნელი ნაწილაკების ფორმისა და ზომის გათვალისწინებით, მათი გადაადგილების და დალექვის პირობებით.

**საკვანძო სიტყვები:** დამრგვალებული ნაწილაკი; ექსპონენციალური დამოკიდებულება; კალაპოტური დანალექი; ნაწილაკთა გადადგილება, ნაწილაკის მედიანური დიამეტრი; შინაგანი ხახუნის კუთხე; შინაგანი ხახუნის კუთხეთა ფარდობა.

### შესავალი

საქართველოს მთაგორიანი ტერიტორიის გეოლოგიური, კლიმატური, მეტეოროლოგიური და მრავალფეროვანი ლანდშაფტური მახასიათებლების ერთობლივი მოქმედება ხშირად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტერიტორიის ცალკეულ რეგიონებში ღვარცოფული მოვლენების წარმოშობისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, გარემოს ეკო-

ლოგიური მდგრადობის რღვევას და ქვეყნის მიწის სავარგულების შემცირებას იწვევს.

ამჟამად, მთის მდინარეების: არაგვის, ლიახვის, ალაზნის აუზების მცენარეულ საფარს მოკლებული ზოგიერთი უბნები ღვარცოფსაშიში კერებია, რომლებმაც განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება კატასტროფული ხასიათის ღვარცოფებიც კი წარმოქმნას. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ღვარცოფწარმომქმნელი კერების ფართობი დროთა განმავლობაში იზრდება, რაც უფრო მძლავრი ღვარცოფული მოვლენების წარმოშობის საწინდარია. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა არაბმული ღვარცოფული ნარევის დინამიური პროცესების შესწავლა.

### ძირითადი ნაწილი

მდ. დურუჯის აუზში ღვარცოფული კერა მისი აუზის მთლიანი ფართობის 15%-ს შეადგენს, ხოლო 1 კვ.კმ ღვარცოფული კერიდან გამოიტანება  $60 \pm 100$  ათასი მ<sup>3</sup> ღვარცოფული მასალა. ამიტომ, ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების რიგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ღვარცოფწარმომშობი კერების ფართობების შემცირებას. სწორედ ამ უბანში მიმდინარეობს, ფიზიკური და ქიმიური გამოფიტვის შედეგად, მიღებული მთის ქანების ნგრევის პროდუქტების ეროზიულ ღრანტეებში დაგროვება, რომლებიც დროთა განმავლობაში განიცდის სხვადასხვა სახის (მექანიკური, ქიმიური, კლიმატური) გამოფიტვას და ბოლოს კი წყლის კომპონენტის 12÷13% (ღვარცოფული მასის მთლიანი წონიდან) დამატებით, ე.წ. “პოტენციურ ღვარცოფულ მასალად” გადაქცევა. ასეთი “შზა” მასალის

წონასწორობის დარღვევა და უკვე ღვარცოფად ჩამოყალიბება შეიძლება გამოწვეული იყოს ფერდობის შემთხვევით ჩამონგრევით, დამეწყვრით, მიწისძვრით, თავსხმა წვიმებით და სხვა. ამ მომენტიდან იწყება კალაპოტის სატრანზიტო უბნის სიღრმითი გარეცხვა, რომელსაც თან სდევს კალაპოტის ნაპირების ჩამორეცხვა და დანგრევა.

აღნიშნული პროცესის ინტენსიურობა ა.ვ. ეგიზაროვის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი დამოკიდებულებით.

$$f_0 = 0.06 \cdot \phi \cdot C_x \cdot \left( \lg_{19} \frac{d_i}{d_r} \right) \quad (1)$$

სადაც  $\phi$  არის კალაპოტის ფორმის კოეფიციენტი;

$C_x$  – შუბლანა წინააღმდეგობის კოეფიციენტი;

$d_i$  – მოძრაობაში მყოფი ნაწილაკების დიამეტრი;

$d_r$  – ხორკლიანობის განმაპირობებელი ნაწილაკების გამონაზარდების დიამეტრი.

ერთგვაროვანი ნარევებისათვის (სფეროსებური ფორმის ნაწილაკების შემთხვევაში)  $\phi = 2.8$  როცა  $C_x = 0.4$ , მაშინ  $d_i = d_r$  და  $f_0 = 0.06$ , რაც ახასიათებს კალაპოტში ზოგიერთი ნაწილაკის გაჩერებას. როცა  $d_i < d_r$ , მაშინ  $N f_0 > 0.06$ , კალაპოტური დანალექების მოძრაობა იზრდება იმდენად, რამდენადაც მოძრაობაში ითრევს დიდი დიამეტრის მქონე მონატეხებსაც და შემდგომ დგება მომენტი, როცა  $d_i > d_r = d_0$  და ყველა ნატანი მოცემულ უბანზე მოძრაობაში მოდის.

ზედაპირულ ჩამონადენს მდინარის კალაპოტში მიაქვს სხვადასხვა სისხოს, ფორმის და შემადგენლობის ნაწილაკები, ქვები, მარცვლები, რომლებიც ერთმანეთს ეჯახება ფსკერის ახლოს და იღებს შეპ-


ლებისდაგვარად დამრგვალებულ ფორმას; ბრტყე-  
 ლი ნაწილაკები გადაიქცევა თხელ ფორმებად; კუბე-  
 ბი და ტეტრაედრები – ბურთულებად; პარალე-  
 ლეპიპედები – ელიფსოიდებად და კვადრატული  
 ფირფიტები – ლინზებად. ამ პროცესის დროს ნატა-  
 ნების ზომა მცირდება დინების გასწვრივ შესარ-  
 თავამდე.

ბმული (სტრუქტურული) ღვარცოფის მოძრაო-  
 ბის შემთხვევაში ნარევი კონგლომერატის სახით  
 გადაადგილდება წყალსადინარის მთლიან სიგრძე-  
 ზე და იგი სტრუქტურადაურღვევლად ილექება  
 სატრანზიტო და აკუმულაციის ზონაში შლეიფის  
 სახით. იგი არ განიბნევა შემადგენელ კომპონენტე-

ბად, რაც არ შეიძლება ითქვას არაბმული (ტურბუ-  
 ლენტური) ღვარცოფების მოძრაობაზე. მათი მოძ-  
 რაობის და გაჩერების კანონზომიერებები, ნარევის  
 შემადგენელი ყველა კომპონენტის თვისებების  
 გათვალისწინებით, კალაპოტი – ნარევის ურთი-  
 ერთმოქმედ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

აღნიშნული პროცესის ახსნა შესაძლებელია  
 დ. საიმონის მიერ შემოთავაზებულ ნაწილაკთა შინა-  
 განი ხახუნის კუთხეების მნიშვნელობების გამოყე-  
 ნებით.


სხვადასხვა ფორმის ნაწილაკებისათვის შინაგა-  
 ნი ხახუნის კუთხეების მნიშვნელობები ნომოგ-  
 რამების სახით წარმოდგენილია 1-ელ სურათზე.



სურ. 1. განსხვავებული ფორმის მქონე ნაწილაკთა შინაგანი ხახუნის კუთხეებსა  
 და მედიანურ დიამეტრს შორის დამოკიდებულების ნომოგრამები

როგორც სურათიდან ირკვევა,  $D_{მ3}:D_{კუთ}:D_{დაბ} = 1:2,5:25$  დიამეტრების მქონე შვერილებიანი, კუთ-  
 ხოვანა და დამრგვალებული ფორმის ნაწილაკებს  
 ერთი და იგივე შინაგანი ხახუნის კუთხე აქვთ; ხო-  
 ლო ერთი და იმავე დიამეტრის, მაგრამ განსხ-

ვავებული ფორმის (შვერილებიანი, დამრგვა-  
 ლებული) მქონე ნაწილაკების შინაგანი ხახუნის  
 კუთხეებს შორის ფარდობა, სხვადასხვა დიამეტრ-  
 თან კავშირში, ექსპონენციალური დამოკიდებუ-  
 ლებით იცვლება (იხ. სურ. 2)



სურ. 2.  $\varphi^*(d) = f(d)$  დამოკიდებულების მრუდი

განსხვავებული დიამეტრისა და ფორმის კალაპოტური წარმონაქმნების მდგრადობის შეფასების მიზნით, გამოყენებულ იქნა მათი შინაგანი ხახუნის კუთხეთა ფარდობა, რაც გამოიხატა შემდეგი დამოკიდებულებით

$$\varphi^*(d) = 1,23 \cdot e^{-(d-6)^2} \quad (1)$$

სადაც  $\varphi^*$  არის ერთი და იმავე დიამეტრის, მაგრამ გამონაზარდებიანი და დამრგვალებული ფორმის ზედაპირის მქონე ნაწილაკების შინაგანი ხახუნის კუთხეებს შორის ფარდობა  $\varphi^* = \frac{\varphi^{\Delta}}{\varphi^0}$  ანუ ე.წ. შინაგანი ხახუნის კუთხის ფარდობითი სისდიდე;

d – ნაწილაკთა საშუალო მედიანური დიამეტრი (მმ).

აღნიშნული ფუნქცია მაქსიმალურია ( $\varphi^* = 1,23$ ) კვიშა-ხრემის ფრაქციის ( $2 \div 10$  მმ) შემთხვევაში, რამაც განაპირობა აღნიშნული ფრაქციის ანომალური მოქმედება, გამოხატული ძვრისადმი წინააღმდეგობით; ხოლო რაც შეეხება მსხვილმონატეხ ნაწილაკებს ( $10 \div 200$  მმ) და წვრილმარცვლოვან ფრაქციებს, ( $0,01 \div 2$  მმ) მათი შინაგანი ხახუნის

კუთხეების ფარდობითი სიდიდეები ერთი და იგივეა, ამიტომ მათი მოძრაობა და გაჩერება წყალსადინარის გასწვრივ განპირობებულია უკვე არა ფორმის, არამედ წონის და ზომის ფაქტორით.

### დასკვნა

კალაპოტური წარმონაქმნების მდგრადობის შეფასების მიზნით, განხილულ იქნა განსხვავებული ფორმის მქონე ნაწილაკთა შინაგანი ხახუნის კუთხეებსა და მედიანურ დიამეტრს შორის დამოკიდებულების ნომოგრამები და გამოყვანილ იქნა ემპირიული დამოკიდებულება, რომელიც ასახავს განსხვავებული ფორმის, მაგრამ ერთი და იგივე დიამეტრის ნაწილაკთა შინაგანი ხახუნის კუთხეებს შორის ფარდობას. რაც უფრო მეტია ეს მახასიათებელი, მით ძნელია ნაწილაკთა გადაადგილება ღვარცოფულ წყალსადინარში. აღნიშნული სიდიდე მაქსიმალურ მნიშვნელობას იძენს კვიშა-ხრემის ფრაქციის შემთხვევაში, რამაც განაპირობა ამ ფრაქციის ანომალური მოქმედება, გამოხატული ძვრისადმი წინააღმდეგობით; შესაბა-

მისად, ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარის ღვარცოფული გამონატანის მოცულობის საანგა-  
დალექვა-გარეცხვის პროცესი მნიშვნელოვანწი- რიშოდ, როგორც სატრანზიტო ასევე აკუმულაცი-  
ლად დამოკიდებულია ღვარცოფული მასის შე- ის ზონებში, რომლის შემდეგაც შესაძლებელი  
მადგენელი ნაწილაკების ფორმაზე. გახდება ღვარცოფების ეკოლოგიური ზეგავლენის  
აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია პროგნოზირება მიმდებარე ტერიტორიებზე.

### ლიტერატურა

1. Egizarov I.K. To solving the problem of transporting unconnected sediments (any fraction) with influence of their concentration in the layer of the turbidity gradient Iz-vo./ AN. SSSR. 15. 1959. St. 115-126. (in Russian).
2. Egizarov I.K. Traffic heterogeneous sediment. Iz-vo AN. SSSR, seruia. texn. 1963. t-16, 12-3; st.41-50 (in Russian).
**ამოცანა\*  $(n;k)$  არსებობს თუ არა ყოველი ფიქსირებული  $k$  ნატურალური რიცხვისათვის, დიოფანტური  $n$ -კუთხედი ( $n \geq 3$ ), რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია  $k$ -სი, და თუ არსებობს, მაშინ ვიპოვოთ ყველა ასეთი  $n$ .**

ჩვენ მიერ ნაჩვენებია, რომ არ არსებობს ისეთი დიოფანტური  $n$ -კუთხედი, როგორც ამოზნექილი, ისე ჩაზნექილი, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე ტოლია 1-ის. ე.ი.  $k=1$ -სათვის ზემოხსენებული საკითხი გადაჭრილია.

ამის დასამტკიცებლად განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა.

ლემა 1. თუ დიოფანტური სამკუთხედის ერთ-ერთი გვერდი 1-ის ტოლია, მაშინ მისი დანარჩენი გვერდები ამ სამკუთხედის ტოლი ფერდებია.




მოც:  $\Delta ABC$ ;  
 $|BC|, |AC| \in N$ ;  
 $|AB| = 1$ .  
 -----  
 ა.დ.  $|BC| = |AC|$ .

ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ  $|BC| \leq |AC|$ . სამკუთხედის უტოლობის ძალით  $|AB| + |BC| > |AC|$  ანუ  $1 + |BC| > |AC|$ .

ე.ი.  $\begin{cases} |BC|, |AC| \in N; \\ |BC| \leq |AC| < |BC| + 1. \end{cases} \Rightarrow (|BC| = |AC|)$ . რ.დ.გ.

ეს შესანიშნავი თვისება არის ერთ-ერთი ქვაკუთხედი დიოფანტური და ბიდიოფანტური გეომეტრიული ფიგურების კვლევის აპარატისა.

ლემა 2. ამოზნექილი დიოფანტური ოთხკუთხედის ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია.



დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. ვთქვათ ოთხკუთხედ  $ABCD$ -ში თითოეული გვერდისა და დიაგონალის სიგრძე გამოისახება ნატურალური რიცხვით და ამასთან ერთ-ერთი გვერდის სიგრძე, ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ  $|AB| = 1$ .

ლემა 1-ის თანახმად  $|BC| = |AC|$  და  $|BD| = |AD|$ .

ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან მაშინ  $C$  და  $D$  წერტილები უნდა მდებარეობდეს  $[AB]$ -ს შუამართობზე. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია. მაშასადამე ამ პირობით  $\Delta ABCD$ -ს თითოეული გვერდის სიგრძე 1-ზე მეტია.


ახლა ვთქვათ  $\Delta ABCD$ -ს დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლია, ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ  $|AC| = 1$ .

ლემა 1-ის თანახმად  $|AB| = |BC|$  და  $|CD| = |AD|$ . ამასთან  $\Delta BOC$  და  $\Delta AOD$ -დან სამკუთხედის უტოლობის გამოყენებით ადვილი საჩვენებელია, რომ  $|BD| + |AC| > |BC| + |AD|$  ანუ  $|AB| + |AD| < |BD| + 1$ .  $\Delta ABD$ -დან გვაქვს  $|AB| + |AD| > |BD|$ . ე.ი.  $\begin{cases} |AB|, |BD|, |AD| \in N; \\ |BD| < |AB| + |AD| < |BD| + 1. \end{cases}$  ეს შეუძლებელია. ამრიგად დაშვება მცდარია ანუ  $|AC| > 1$ .

ე.ი. საბოლოოდ გვაქვს, რომ ყოველი ამოზნექილი დიოფანტური ოთხკუთხედის თითოეული გვერდისა და დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია. რ.დ.გ.

**ლემა 3.** თუ სიბრტყეზე მდებარე ოთხი წერტილიდან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე და ამასთან მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოისახება ნატურალური რიცხვით, მაშინ ამ მანძილებიდან თითოეული მათგანი 1-ზე მეტია.


დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. ვთქვათ სიბრტყეზე მოიძებნება ისეთი ოთხი წერტილი, რომელთაგან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრფეზე, მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოისახება ნატურალური რიცხვით და ამასთან, რომელიღაც ამ მანძილებიდან 1-ის ტოლია. მაშინ **ლემა 1**-ის თანახმად დანარჩენი ორივე წერტილი უნდა მდებარეობდეს 1-ის ტოლი სიგრძის მონაკვეთის შუამართობზე. აქ გვექნებოდა ორი შემთხვევა



მოც:  $\Delta ABC$ ;

$$\begin{cases} |AB| = 1; \\ |AC| = |BC| \in N; \\ |AD| = |DB| \in N; \\ |CD| \in N. \end{cases}$$

სურ. 3



მოც:  $|AB| = 1, |AC| = |BC| = m;$

$$\begin{cases} |AD| = |DB| = n, \\ |CD| = l, m, n, l \in N. \end{cases}$$

სურ. 4

- 1) ეს შემთხვევა განხილულია **ლემა 2**-ში.
- 2)  $\Delta AOC$  და  $\Delta DOB$  -დან გვაქვს:

$$\begin{cases} |AC|^2 = |AO|^2 + |OC|^2; \\ |BD|^2 = |OB|^2 + |OD|^2; \\ |OD| = |OC| + |CD|, |AO| = |OB| = 0,5; \\ |AC| = |CB| = m, |AD| = |DB| = n, |CD| = l, m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{cases} m^2 = \left(\frac{1}{2}\right)^2 + |OC|^2; \\ n^2 = \left(\frac{1}{2}\right)^2 + (l + |OC|)^2; \\ m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} |OC| = \frac{n^2 - m^2 - l^2}{2l}; \\ 4m^2 - 1 = (2|OC|)^2; \\ m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} |OC| = \frac{n^2 - m^2 - l^2}{l} = q \in \mathbb{Q}_+; \\ 4m^2 - 1 = q^2; \\ m, n, l \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ 4m^2 - q^2 = 1. \end{cases}$$

$$\Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ (2m - q)(2m + q) = 1. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} m, q \in N; \\ 2m - q = 1; \\ 2m + q = 1. \end{cases}$$

ეს კი შეუძლებელია. მაშასადამე მანძილი ნებისმიერ ორ წერტილს შორის ამ მოცემული წერტილებიდან, მეტია 1-ზე. რ.დ.გ.




**თეორემა 1.** ამოზნექილი დიოფანტური  $n$ -კუთხედის ( $n > 3$ ), ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია.

დავუშვათ საწინააღმდეგო. ე.ი. დავუშვათ ამოზნექილი დიოფანტური  $n$ -კუთხედის ( $n > 3$ ), რომელიმე ორ წვეროს შორის მანძილი ტოლია 1-ის. **ლემა 1**-ის ძალით დანარჩენი წვეროები უნდა მდებარეობდნენ ამ ორი წვეროს შემაერთებელი მონაკვეთის შუამართობზე. ვინაიდან ეს  $n$ -კუთხედი უნდა იყოს ამოზნექილი, ამიტომ ცხადია  $n=4$ , მაგრამ ლემა 2-ის თანახმად ასეთი ოთხკუთხედი არ არსებობს. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია ანუ ყოველი ამოზნექილი დიოფანტური  $n$ -კუთხედის ( $n > 3$ ), ყოველი გვერდისა და ყოველი დიაგონალის სიგრძე მეტია 1-ზე. რ.დ.გ.

**თეორემა 2.** თუ სიბრტყეზე მდებარე  $n$ -წერტილიდან ( $n > 3$ ), არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრეზე და ამასთან მანძილი ყოველ ორ მათგანს შორის გამოსახება ნატურალური რიცხვით, მაშინ ამ მანძილებიდან ყოველი მათგანი 1-ზე მეტია.

ისევე, როგორც წინა თეორემაში, თუ მანძილი დიოფანტური მრავალკუთხედის რომელიმე ორ წვეროს შორის 1-ის ტოლია, მაშინ მისი დანარჩენი წვეროები უნდა მდებარეობდეს ამ ორი წვეროს შემაერთებელი მონაკვეთის შუამართობზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ წვეროებიდან არც ერთი სამი არ მდებარეობს ერთ წრეზე, მაშინ გვექნება მხოლოდ შემდეგი შემთხვევები (იხ. სურ. 5).



სურ. 5


პირველ ოთხს არ გააჩნია 1-ლი ამონახსნი თეორემის თანახმად. ოთხივე შევსებით ღებულობს 1)-ის სახეს და ვინაიდან არ არსებობს ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, ამიტომ არ იარსებებს არც 2), 3) და 4) სახის დიოფანტური ოთხკუთხედები, ხოლო ბოლო ოთხს არ გააჩნა ამონახსნი მე-2 თეორემის ძალით. აქაც

შეესებოთ 6), 7) და 8) დადის 5)-ის სახეზე. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია ანუ ამოცანის პირობით მოცემული მანძილებიდან ყოველი მათგანი 1-ზე მეტია. ამით მთლიანად დამტკიცებულია.

ე. ი. ჩვენ დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა:

**ამოცანა\* (n;1) არ არსებობს ისეთი დიოფანტური n-კუთხედი (n > 3), როგორც ამოზნექილი, ასევე ჩაზნექილი, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლი იყოს.**

ამოცანა 1. დიოფანტურ  $\triangle ABC$ -ში  $|AC|=2$  და  $|AB|=a; (a \in N)$  ვიპოვოთ  $|BC|$ .



მოც:  $\triangle ABC; |BC| \in N; |AC|=2, |AB|=a; a \in N, a \neq 1$ .

უ. გ.  $|BC|$

გვაქვს ორი შემთხვევა: 1)  $\begin{cases} a \in N; a \geq 2; \\ |BC| \leq a. \end{cases}$  2)  $\begin{cases} a \in N; a \geq 2; \\ |BC| \geq a. \end{cases}$


1)  $\triangle ABC$ -დან სამკუთხედის უტოლობის თანახმად  $a < |BC| + 2$



$$\begin{cases} |BC|; a \in N; a \geq 2; \\ |BC| \leq a < |BC| + 2. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} a \in N \\ a = |BC|; \\ a = |BC| + 1. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} a \in N; a \geq 2; \\ |BC| = a; \\ |BC| = a - 1. \end{cases}$$

2)  $\triangle ABC$ -დან სამკუთხედის უტოლობის თანახმად  $|BC| < a + 2$

$$\begin{cases} |BC|; a \in N; a \geq 2; \\ a \leq |BC| < a + 2. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} a \in N; a \geq 2; \\ |BC| = a; \\ |BC| = a + 1. \end{cases}$$


ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილია ყველა ისეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის გვერდის ან დიაგონალის სიგრძე შეიძლება 2-ის ტოლი იყოს





$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d \in \mathbb{N}; \\ |AB| = |BC| = a; \\ |AD| = |CD| = b; \\ |AC| = 2; \quad |BD| = d. \end{cases}$$

ლემა 3-ში ჩვენ უკვე გვქონდა ნაჩვენები, რომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.




$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d \in \mathbb{N}; \quad a < b; \\ |AB| = |BC| = a; \\ |AD| = |CD| = b; \\ |AC| = d; \quad |BD| = 2. \end{cases}$$

$$\Delta ABC \text{-დან გვაქვს } \begin{cases} a, b \in \mathbb{N}; \\ a < b; \\ a + 2 > b. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a, b \in \mathbb{N}; \\ b - 2 < a < b \end{cases} \Rightarrow (a = b - 1)$$

ცნობილია, რომ ამოზნექილი ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეთა ჯამი მეტია მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამზე. ამიტომ  $d + 2 > a + b$  ანუ  $d + 2 > 2b - 1$ .

$\Delta ABC$ -დან  $\begin{cases} d, b \in \mathbb{N}; \\ d < 2a = 2b - 2; \end{cases}$  ე.ო.  $\begin{cases} d, b \in \mathbb{N}; \\ 2b - 3 < d < 2b - 2 \end{cases}$  ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური

ოთხკუთხედი არ არსებობს.




$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d \in \mathbb{N}; \quad |AB| = |BC| = a; \\ |AD| = b; \quad |CD| = b + 1 \\ |AC| = 2; \quad |BD| = d. \end{cases}$$

$\Delta ABD$ -დან  $d < a + b$ .

ოთხკუთხედ  $ABCD$ -დან  $|AC| + |BD| > |AB| + |CD|$ , ანუ  $d + 2 > a + b + 1$ .

გვაქვს:  $\begin{cases} d < a+b \\ d+2 > a+b+1 \\ a, b, d \in N \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a+b-1 < d < a+b \\ a, b, d \in N \end{cases}$  ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხ-


კუთხედი არ არსებობს.



მოც:  $\begin{cases} a, b, d \in N; \\ |AB| = a, |BC| = a+1; \\ |AD| = b+1, |CD| = b; \\ |AC| = 2; |BD| = d. \end{cases}$

$\begin{cases} |BD| + |AC| > |BC| + |AD|; \\ |BD| < |AB| + |AD|; \\ |AB|, |BC|, |AD|, |BD| \in N. \end{cases}$  ე.ო.  $\begin{cases} a, b, d \in N; \\ d+2 > a+1+b+1 \\ d < a+b+1 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a, b, d \in N; \\ a+b < d < a+b+1 \end{cases}$

ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.




მოც:  $\begin{cases} a, b, d \in N; \\ |AB| = |BC| = a; \\ |AD| = |CD| = b; \\ |BD| = d; |AC| = 2 \end{cases}$

მართკუთხა  $\triangle AED$  და მართკუთხა  $\triangle AEB$  -დან გვაქვს:

$$\begin{cases} a, b, d \in N \\ 1^2 + x^2 = b^2 \\ 1^2 + (d+x)^2 = a^2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a, b, d \in N \\ 1 + x^2 = b^2 \\ 1 + x^2 + d^2 + 2dx = a^2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a, b, d \in N \\ x = \frac{a^2 - b^2 - d^2}{2d} \in Q_+ \\ 1 + x^2 = b^2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} b, x \in N \\ (b-x)(b+x) = 1 \end{cases} \Rightarrow$$

$\Rightarrow \begin{cases} b, x \in N \\ b-x=1 \\ b+x=1 \end{cases}$  ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.



მოც:  $\begin{cases} |AB| = |BD| = a; |AC| = |CD| = b; \\ |BC| = d; |AD| = 2. \\ a, b, d \in N \end{cases}$

ამოცანის პირობიდან გამომდინარე B და C წერტილები მდებარეობს


$[AD]$  -ს შუა მართობზე, ამიტომ  $|AE| = |ED| = \frac{|AD|}{2} = 1$ .

მართკუთხა  $\triangle AEB$  და მართკუთხა  $\triangle CED$  -დან გვაქვს:

$$\begin{cases} a^2 = |BE|^2 + 1 \\ b^2 = (d + |BE|)^2 + 1 \\ a, b, d \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a^2 = |BE|^2 + 1 \\ |BE| = \frac{b^2 - d^2 - a^2}{2d} \in Q_+ \\ a, b, d \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a^2 - |BE|^2 = 1 \\ a, |BE| \in N \end{cases} \Rightarrow$$


$$\Rightarrow \begin{cases} (a-|BE|)(a+|BE|) = 1; \\ a, |BE| \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a-|BE| = 1; \\ a+|BE| = 1; \\ a, |BE| \in N. \end{cases}$$

კუთხედი არ არსებობს.




$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d, c \in N; \\ |AB| = a+1; |AC| = a; |BC| = c; |CD| = b; \\ |BD| = b+1; |AD| = 2. \end{cases}$$

ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს, ვინაიდან ამოზნექილი ოთხკუთხედის დიაგონალების სიგრძეთა ჯამი მეტი უნდა იყოს ამ ოთხკუთხედის მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამზე, ე.ი. უნდა იყოს  $|BD|+|AC| > |AB|+|CD|$ , მაგრამ, აქედან გამომდინარე გვექნებოდა  $a+(b+1) > (a+1)+b$ , რაც შეუძლებელია.



$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d, c \in N; \\ |AB| = a+1; |AC| = b+1; |BC| = c; |CD| = b; \\ |BD| = a; |AD| = 2. \end{cases}$$

VIII-შიც, VII-ს მსგავსად უნდა იყოს  $|BD|+|AC| > |AB|+|CD|$ , მაგრამ, აქედან გამომდინარე გვექნებოდა  $a+(b+1) > (a+1)+b$ . ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.



$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, d, c \in N; \\ |AB| = b+1; |AC| = 2; |BC| = b; |CD| = a; \\ |BD| = d; |AD| = a+1. \end{cases}$$

შემოვხაზოთ  $A$  წერტილიდან  $[AD]$  და  $B$  წერტილიდან  $[BD]$  რადიუსებით რკალები და ვთქვათ ისინი კვეთენ  $[BC]$  -ს შესაბამისად  $K$  და  $M$  წერტილებში.


$$\Delta AKC \text{ -დან გვაქვს } (2+|CK| > a+1) \Rightarrow (|CK| > a-1).$$

$$\begin{cases} |CK|+|BM| < b; \\ |CK| > a-1; |BM| = d. \end{cases} \Rightarrow a-1+d < b \Rightarrow d < b-a+1.$$

$$\Delta BDC \text{ -დან } d+a > b \Rightarrow d > b-a.$$

$$\text{ე.ი. } \begin{cases} d > b-a; \\ d < b-a+1 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} b-a < d < b-a+1; \\ a, b, d \in N \end{cases}$$
 ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხ-

კუთხედი არ არსებობს.




$$\text{მოც: } \begin{cases} a, b, |BD| \in \mathbb{N}; a > 3; b > 3; \\ |AB| = a+1; |BC| = a; |AD| = b; |CD| = b+1; \\ \begin{cases} |AC| = 2; \\ |AC| = 3. \end{cases} \end{cases}$$

$$\begin{cases} a, b \in \mathbb{N} \\ a > 3 \\ b > 3 \\ \begin{cases} |AC| = 2 \\ |AC| = 3 \end{cases} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} |AC|^2 + a^2 \leq (a+1)^2 \\ |AC|^2 + b^2 \leq (b+1)^2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} \widehat{ACB} \in \left[ \frac{\pi}{2}; \pi \right) \\ \widehat{DAC} \in \left[ \frac{\pi}{2}; \pi \right) \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a < |BD| < a+1 \\ b < |DO| < b+1 \end{cases} \Rightarrow$$

$$\Rightarrow a+b < |BO| + |OD| < a+b+2 \Rightarrow |BD| \in (a+b; a+b+2).$$

$$\triangle ABCD \text{ -დან გვაქვს } |BD| < a+b+1. \text{ ე.ო. } \begin{cases} |BD| \in (a+b; a+b+1); \\ |BD| \in \mathbb{N} \end{cases} \Rightarrow |BD| \notin \mathbb{N}.$$

ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.



$$\begin{aligned} \triangle MBN \sim \triangle ABF &\Rightarrow \frac{|MB|}{|AB|} = \frac{|BN|}{|BF|} \Rightarrow \\ \Rightarrow \frac{|MB|}{b+1} &= \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9} - \sqrt{12a^2 + 12a - 9}}{\sqrt{12b^2 + 12b - 9}} = 1 - \sqrt{\frac{2a-1}{2b-1} \cdot \frac{2a+3}{2b+3}} < \\ < 1 - \frac{2a-1}{2b-1} &= \frac{b-a}{b-\frac{1}{2}}. \end{aligned}$$

$$\text{გვაქვს } |MB| < (b-a) + 1.5 \left( \frac{b-a}{b-\frac{1}{2}} \right) < (b-a) + 1.5.$$

$$\begin{cases} |BD| < |MB| < (b-a) + 1.5 \\ |BD| \in \mathbb{N} \end{cases} \Rightarrow |BD| \leq (b-a) + 1$$

$$\triangle ADB \text{ -დან გვაქვს: } (a+1) + |BD| > b+1 \Rightarrow |BD| > b-a.$$

$$\text{ე.ო. } \begin{cases} b-a < |BD| \leq b-a+1; \\ a, b, |BD| \in \mathbb{N} \end{cases} \Rightarrow |BD| = b-a+1.$$

$$\text{მართკუთხა } \triangle DNB \text{ -დან } |DN|^2 + |BN|^2 = |BD|^2. \text{ ე.ო.}$$

$$\left( \frac{b-a}{2} \right)^2 + \left( \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9} - \sqrt{12a^2 + 12a - 9}}{4} \right)^2 = ((b-a) + 1)^2. \text{ საიდანაც მივიღებთ:}$$

$$24a^2b - 24ab^2 - 62ab + 37a^2 + 13b^2 + 28b - 40a + 13 = 0 \quad (*)$$


აქედან გამომდინარე

$$37a^2 + 13b^2 + 13 \equiv 0 \pmod{2} \Rightarrow a^2 + b^2 + 1 \equiv 0 \pmod{2} \Rightarrow \begin{cases} a = 2p \\ b = 2k - 1 \end{cases} \cup \begin{cases} a = 2p - 1 \\ b = 2k \end{cases} \\ p, k \in \mathbb{N}$$

თუ  $b=2k$  მაშინ  $(*)$ -დან გვაქვს:  $37a^2 + 13 = 4 \cdot 37p(p-1) + 37 + 13 \equiv 0 \pmod{4}$ , რაც შეუძლებელია.

თუ  $a=2p$ , მაშინ  $(*)$ -დან გვაქვს  $13b^2 + 13 = 13(4p(p-1) + 2) \equiv 0 \pmod{4}$ , რაც ასევე შეუძლებელია. ე. ი.

ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.




მოც:  $\begin{cases} |AB| = |BD| = a, & |AD| = c, & |BC| = 2; \\ |AC|, & |CD|, & a, & c \in \mathbb{N}; & |CD| < |BD|. \end{cases}$

ამოცანის პირობიდან გამომდინარე გვაქვს:  $c < 2a$ ;

$$|CD| = a - 1; \begin{cases} |AC| = a + 1; & (*) \\ |AC| = a & (**) \end{cases}$$

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

(\*)  $\Delta ABC$  და  $\Delta ACD$ -დან კოსინუსების თეორემით გვაქვს:



$$\begin{cases} 2^2 = a^2 + (a+1)^2 - 2a(a+1)\cos\alpha \\ (a-1)^2 = c^2 + (a+1)^2 - 2c(a+1)\cos\beta \end{cases} \Rightarrow$$

$$\begin{cases} \cos\alpha = \frac{2a^2 + 2a - 3}{2}; & \sin\alpha = \frac{\sqrt{12a^2 + 12a - 9}}{2a(a+1)}; \\ \cos\beta = \frac{c^2 + 4a}{2c(a+1)}; & \sin\beta = \frac{\sqrt{(c^2 - 4)(4a^2 - c^2)}}{2c(a+1)} \end{cases}$$

$\Delta ABD$  -დან

$$\frac{c}{2a} = \cos(\alpha + \beta) = \frac{(c^2 + 4a)(2a^2 + 2a - 3)}{4ac(a+1)^2} - \frac{\sqrt{(c^2 - 4)(4a^2 - c^2)(12a^2 + 12a - 9)}}{4ac(a+1)^2} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \sqrt{(c^2 - 4)(4a^2 - c^2)(12a^2 + 12a - 9)} = -(2a + 5)c^2 + (8a^3 + 8a^2 - 12a) \Rightarrow$$

$$\Rightarrow 16(a+1)^2c^4 - 4(a+1)^2(20a^2 - 9)c^2 + 64a^4(a+1)^2 = 0 \Rightarrow 4c^4 - (20a^2 - 9)c^2 + 16a^4 = 0.$$

აქედან გამომდინარე  $c = 4p$ , ( $p \in \mathbb{N}$ ). ჩასმით მივიღებთ:

$$(4(4p)^4 - (20a^2 - 9)(4p)^2 + 16a^4 = 0) \Leftrightarrow (64p^4 - (20a^2 - 9)p^2 + a^4 = 0)$$

ბოლო განტოლებიდან გვაქვს:  $\begin{cases} a^4 = 0 \pmod{p^2} \\ a, p \in \mathbb{N} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a^2 = pt \\ a, p, t \in \mathbb{N} \end{cases}$  მიღებულის ბოლო განტოლებაში ჩას-


მითა და გამარტივებით მივიღებთ:

$$\begin{cases} t^2 - 20pt + (64p^2 + 9) = 0 \\ p, t \in N \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} t = 10p - 3\sqrt{4p^2 - 1}; \\ t = 10p + 3\sqrt{4p^2 - 1}. \Rightarrow t \in \emptyset. \\ p, t \in N \end{cases}$$

შენიშვნა:  $\begin{cases} 4p^2 - 1 = n^2; \\ p, n \in N \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} (2p-n)(2p+n) = 1; \\ p, n \in N \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 2p-n = 1; \\ 2p+n = 1; \Rightarrow (n \in \emptyset). \\ p, n \in N. \end{cases}$

ე. ი. ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.

(\*\*)



მოც:  $\begin{cases} |AB| = |BD| = |AC| = a; \\ |CD| = a-1; |BC| = 2; |AD| = c; \\ a, c \in N. \end{cases}$

მართკუთხა  $\triangle BED$  და მართკუთხა  $\triangle CED$ -დან გვაქვს:

$$a^2 - (2 + |CE|)^2 = (a-1)^2 - |CE|^2 \Rightarrow |CE| = \frac{2a-5}{4};$$

$$|DE| = \sqrt{(a-1)^2 - \left(\frac{2a-5}{4}\right)^2} = \frac{\sqrt{12a^2 - 12a - 9}}{4}$$

მართკუთხა  $\triangle AKD$  -დან პითაგორას თეორემით:

$$c^2 = \left(\frac{2a-1}{4}\right)^2 + \left(\sqrt{a^2-1} - \frac{\sqrt{12a^2-12a-9}}{4}\right)^2 \Rightarrow 4c^4 - 4(4a^2 - 2a - 3)c^2 + (4a^4 - 4a^3 + a^2) = 0$$

სადაც  $a, c \in N, a > 2, c > 1$ .

მიღებული განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ:  $a=2p; p \in N$ . ჩასმით მივიღებთ:



$$\begin{cases} c^4 - (16p^2 - 4p - 3)c^2 + p^2(4p-1)^2 = 0 \\ p, c \in N, p, c > 1 \end{cases} \quad (1)$$

(1) -დან  $p=2$ -სათვის გვექნება:

$$\begin{cases} c^4 - 53c^2 + 192 = 0 \\ c \in N, c > 1 \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} c = 2 \\ c = 7. \end{cases}$$

$c=7$ -სათვის  $\triangle ACD$  გადაგვარებულია, ვინაიდან  $|AC| + |CD| = 4 + 3 = 7 = |AD|$ .

$c=2$ -სათვის მივიღებთ ჩვენთვის უკვე ნაცნობ დიოფანტურ ტრაპეციას. (1)-ის სხვა რომელიმე ამონახსნი დღეისათვის ჩვენთვის უცნობია. ვფიქრობთ სხვა ნატურალური ამონახსნი არ არსებობს.



მოც:  $\begin{cases} |AB| = |BD| = |CD| = a; \\ |AC| = a+1; |BC| = 2; |AD| = c; \\ a, c \in N. \end{cases}$

მართკუთხა  $\triangle AEC$  -დან და მართკუთხა  $\triangle AEB$  -დან გვაქვს:



$$(a+1)^2 - (|EB|+2)^2 = a^2 - |EB|^2 \Rightarrow |EB| = \frac{2a-3}{4}; |AE| = \sqrt{a^2 - \left(\frac{2a-3}{4}\right)^2} = \frac{\sqrt{12a^2+12a-9}}{4}.$$


მართკუთხა  $\triangle AKD$  -დან პითაგორას თეორემით:

$$c^2 = \left(\frac{2a+1}{4}\right)^2 + \left(\sqrt{a^2-1} - \frac{\sqrt{12a^2+12a-9}}{4}\right)^2,$$

საიდანაც მივიღებთ:  $4c^4 - 4(4a^2 + 2a - 3)c^2 + a^2(2a + 1)^2 = 0$ . XIII-ის ანალოგიურად მიიღება:

$$\begin{cases} c^4 - (16p^2 + 4p - 3)c^2 + p^2(4p + 1)^2 = 0 \\ p, c \in N, p, c > 1 \\ a = 2p \end{cases} \quad (2)$$

დღეისათვის არ არის ნაპოვნი (2)-ის თუნდაც ერთი ამონახსნი. ჩვენი აზრით, მას არ უნდა გააჩნდეს ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში.



$$\text{მოც: } \begin{cases} \alpha + \beta > 180^\circ; \\ |BC| = a; |CD| = a+1; |AD| = b+1; \\ |AB| = b; |BD| = 2; |AC| = c; \\ a, b, c \in N. \end{cases}$$

$\triangle BCD$ ;  $\triangle ABD$  და  $\triangle ABC$  -დან კოსინუსების თეორემით გვაქვს:

$$\begin{cases} (a+1)^2 = a^2 + 2^2 - 4a \cdot \cos \alpha; \\ (b+1)^2 = b^2 + 2^2 - 4b \cos \beta; \\ c^2 = a^2 + b^2 - 2ab \cos \gamma; \\ \cos \gamma = \cos(360^\circ - (\alpha + \beta)) = \cos(\alpha + \beta). \end{cases} \Rightarrow \begin{cases} \cos \alpha = \frac{3-2a}{4a}; \sin \alpha = \frac{\sqrt{12a^2+12a-9}}{4a} \\ \cos \beta = \frac{3-2b}{4b}; \sin \beta = \frac{\sqrt{12b^2+12b-9}}{4b} \\ \cos \gamma = \cos(\alpha + \beta) = \frac{a^2 + b^2 + c^2}{2ab}. \end{cases}$$

$$\Rightarrow \frac{a^2 + b^2 - c^2}{2ab} = \cos(\alpha + \beta) = \frac{(3-2a)(3-2b) - \sqrt{(12a^2+12a-9)(12b^2+12b-9)}}{16ab} \Rightarrow$$


$$\Rightarrow \sqrt{(12a^2+12a-9)(12b^2+12b-9)} = (3-2a)(3-2b) - 8(a^2 + b^2 - c^2) \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 4c^4 + c^2(9-6b-6a+4ab-8a^2-8b^2) + 2(a-b)^2(2(a^2+ab+b^2)+3(a+b)) = 0 \quad (1)$$

თუ (1) ში ჩავსვავთ  $a=b$ -ს, მივიღებთ:

$$4c^4 + c^2(9-6a-6a+4a^2-8a^2-8a^2) + 2(a-a)^2(2(a^2+a^2+a^2)+3(a+a)) = 0 \Leftrightarrow 4c^2 = 12a^2 + 12a - 9,$$

რომელსაც არ გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მარცხენა მხარე ლუწი იქნებოდა, ხოლო მარჯვენა კი – კენტი. რაც შეეხება (1)-ს, დღეისათვის ჩვენთვის უცნობია თუნდაც ერთი სამეული ნატურალური ამონახსნებისა.



$$\text{მოც: } \begin{cases} |AB| = |BC| = a; |MC| = b; \\ |AM| = b+1; |BM| = c; |AC| = 2; \\ a, b, c \in N. \end{cases}$$

$$|MK| = 1 + \frac{2b-3}{4} = \frac{2b+1}{4};$$


$$|BK| = \sqrt{c^2 - \left(\frac{2b+1}{4}\right)^2}; \quad |KD| = |ME| = \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4};$$

$$\begin{cases} |BD| = \sqrt{4c^2 - 1}; \\ |BD| = \sqrt{c^2 - \left(\frac{2b+1}{4}\right)^2} + \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4} \Rightarrow 4\sqrt{4c^2 - 1} = \sqrt{16c^2 - (2b+1)^2} + \sqrt{12b^2 + 12b - 9} \Leftrightarrow \\ \Leftrightarrow 9c^4 - 6c^2(b^2 + b) + (b^2 + b)^2 = 0 \Leftrightarrow \\ \Leftrightarrow \left(\frac{3c^2}{b^2 + b} - 1\right)^2 = 0 \Leftrightarrow \frac{3c^2}{b^2 + b} - 1 = 0 \Leftrightarrow b^2 + b = 3c^2 \Leftrightarrow b(b+1) = 3c^2 \Leftrightarrow (2b+1)^2 - 12c^2 = 1. \end{cases} \quad (1)$$

$$(a_1^2 - 12b_1^2)(c_1^2 - 12d_1^2) = (a_1c_1 - 12b_1d_1)^2 - 12(a_1d_1 - b_1c_1)^2. \quad (2)$$

(1) არის პელის განტოლება. მისი ამოხსნით მივიღებთ (1)-ის ნატურალურ ამონახსნებს. მათ შორის პირველი სამი წყვილია:

$$\left[ \begin{cases} 2b+1 = 7; \\ c = 2. \end{cases}; \begin{cases} 2b+1 = 97; \\ c = 28. \end{cases}; \begin{cases} 2b+1 = 1351; \\ c = 390. \end{cases} \right] \Leftrightarrow \left[ \begin{cases} b = 3; \\ c = 2. \end{cases}; \begin{cases} b = 48; \\ c = 28. \end{cases}; \begin{cases} b = 675; \\ c = 390. \end{cases} \right]$$



მოც:  $\begin{cases} AB = a; \quad |BC| = c; \quad |CD| = b; \quad |AC| = b+1; \\ |BD| = a+1; \quad a, b, c \in N. \end{cases}$

$\triangle ACD$ -დან  $\cos \widehat{ADC} = \frac{3-2b}{4b} < 0$  ( $b \in N; \quad b \neq 1$ ).

კუმერის ერთ-ერთი თეორემით (თეორემა: თუ ამოზნექილი ოთხკუთხედის გვერდებისა და დიაგონალების სიგრძეები გამოისახება რაციონალური რიცხვებით, მაშინ დიაგონალები გადაკვეთის წერტილით დაიყოფა რაციონალური სიგრძის მონაკვეთებად)  $|AO|, |OD| \in Q_+$ .

$\triangle AOD$  - დან სინუსების თეორემით გვაქვს:

$$\frac{|AO|}{|OD|} = \frac{\sin \widehat{ODA}}{\sin \widehat{OAD}} = \frac{\sin \widehat{BDA}}{\sin \widehat{CAD}} = \frac{\sqrt{1 - \cos^2 \widehat{BDA}}}{\sqrt{1 - \cos^2 \widehat{CAD}}} = \frac{\sqrt{1 - \left(\frac{2a+5}{4(a+1)}\right)^2}}{\sqrt{1 - \left(\frac{2b+5}{4(b+1)}\right)^2}} = \frac{(b+1)\sqrt{4a^2 + 4a - 3}}{(a+1)\sqrt{4b^2 + 4b - 3}}.$$


აქედან გამომდინარე  $\frac{\sqrt{4a^2 + 4a - 3}}{\sqrt{4b^2 + 4b - 3}} = t \in Q_+$  ანუ  $4a^2 + 4a - 3 = t^2(4b^2 + 4b - 3)$ . ე.ი. ამ ამოცანის ამოხსნა

დადის შემდეგი ამოცანის ამოხსნაზე.

ამოხსნათ ნატურალურ  $a, b, m$  და  $n$  რიცხვებში განტოლება

$$n^2(4a^2 + 4a - 3) = m^2(4b^2 + 4b - 3).$$

$$|AM| = \frac{2a-3}{2} + 2 = \frac{2a+1}{2}$$



ოთხკუთხედ  $A_p A_q A_l M$  -დან

$$|AM| + |A_p A_l| > |AA_l| + |A_p M| \Rightarrow \frac{2a+1}{2} + b+1 > a+1+c \Rightarrow c < b + \frac{1}{2} \Rightarrow c \leq b.$$


$$b > a \Rightarrow \frac{2a-1}{2b-1} < \frac{2a+3}{2b+3} \quad \text{მართკუთხა } \Delta AFA_l \text{ -დან პითაგორას თეორემით:}$$

$$\begin{aligned} c^2 &= \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{1}{16} \left(\sqrt{12b^2+12b-9} - \sqrt{12a^2+12a-9}\right)^2 = \\ &= \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{12b^2+12b-9}{16} \left(1 - \sqrt{\frac{2a-1}{2b-1} \cdot \frac{a+3}{2b+3}}\right)^2 = \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{3(2b-1)(2b+3)}{16} \times \\ &\times \left(1 - \sqrt{\frac{2a-1}{2b-1} \cdot \frac{a+3}{2b+3}}\right)^2 \quad (*) \quad (*)\text{-დან გვაქვს:} \end{aligned}$$

$$\boxed{1} \quad c^2 < \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{3(2b-1)(2b+3)}{16} \cdot \frac{4(b-a)^2}{(2b-1)^2} = \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{3}{4} \left(\frac{2b+3}{2b-1}\right) \cdot (b-a)^2;$$

$$\boxed{2} \quad c^2 > \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{3(2b-1)(2b+3)}{16} \cdot \frac{4(b-a)^2}{(2b-3)^2} = \left(\frac{a+b+1}{2}\right)^2 + \frac{3}{4} \left(\frac{2b-1}{2b+3}\right) \cdot (b-a)^2.$$

ე.ი თუ არსებობს ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, მაშინ  $c$  უნდა აკმაყოფილებდეს  $\boxed{1}$  და  $\boxed{2}$  პირობებს.



$$\text{მოც: } \begin{cases} A_p A_q A_l A_k; \\ |A_p A_q| = |A_q A_k| = |A_p A_l| = a+1 \\ |A_k A_l| = a; \quad |A_p A_k| = 2; \\ |A_q A_l| = c; \\ a, c \in N. \end{cases}$$

მართკუთხა  $\Delta A_p E A_l$  და  $\Delta A_k E A_l$  -იდან გვაქვს:

$$(a+1)^2 - (|A_k E| + 2)^2 = a^2 - |A_k E|^2 \Rightarrow a^2 + 2a + 1 - |A_k E|^2 - 4|A_k E| - 4 = a^2 - |A_k E|^2 \Rightarrow |A_k E| = \frac{2a-3}{4}.$$

$$|A_q F| = \sqrt{(a+1)^2 - 1} = \sqrt{a^2 + 2a}; \quad |EF| = \frac{2a-3}{4} + 1 = \frac{2a+1}{4}.$$

$$|A_l E| = \sqrt{a^2 - \left(\frac{2a-3}{4}\right)^2} = \frac{\sqrt{12a^2 + 12a - 9}}{4}.$$

$\Delta A_q M A_l$  -იდან პითაგორას თეორემით გვაქვს:

$$c^2 = \left(\frac{2a+1}{4}\right)^2 + \left(\sqrt{a^2 + 2a} - \frac{\sqrt{12a^2 + 12a - 9}}{4}\right)^2 = \frac{4a^2 + 6a - 1 - \sqrt{12a^4 + 36a^3 + 15a^2 - 18a}}{2}.$$

მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ განტოლებას:

$$c^2 = \frac{4a^2 + 6a - 1 - \sqrt{(a^2 + 2a)(12a^2 + 12a - 9)}}{2}. \quad (1)$$

$$1 \quad a \geq 3 \Leftrightarrow 12a^2 + 12a - 9 \geq 9(a^2 + 2a) \Leftrightarrow \sqrt{(a^2 + 2a)(12a^2 + 12a - 9)} \geq \sqrt{9(a^2 + 2a)^2} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow c^2 \leq \frac{4a^2 + 6a - 1 - 3(a^2 + 2a)}{2} = \frac{a^2 - 1}{2} \Leftrightarrow c \leq \sqrt{\frac{a^2 - 1}{2}}$$

$$2 \quad a^2 + 50a + 36 > 0 \Leftrightarrow 48a^2 + 48a - 36 < 49a^2 + 98a \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 12a^2 + 12a - 9 < \frac{49}{4}(a^2 + 2a) \Leftrightarrow (a^2 + 2a)(12a^2 + 12a - 9) < 3.5^2(a^2 + 2a)^2 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \sqrt{(a^2 + 2a)(12a^2 + 12a - 9)} < 3.5(a^2 + 2a)^2.$$


$$\text{ქ.ო. } c^2 > \frac{4a^2 + 6a - 1 - 3.5(a^2 + 2a)}{2} = \frac{0.5a^2 - a - 1}{2} = \left(\frac{a-1}{2}\right)^2 - \frac{3}{4} \Rightarrow c \geq \frac{a-1}{2}.$$

საბოლოოდ გვაქვს, რომ, თუ არსებობს ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, მაშინ  $c \in \left[\frac{a-1}{2}; \sqrt{\frac{a^2-1}{2}}\right)$ .

ახლა განვიხილოთ წრეწირში ჩახაზულობისა და წრეწირზე შემოხაზულობის საკითხი ისეთი დიოფანტური ოთხკუთხედებისათვის, რომელთა ერთ-ერთი გვერდის სიგრძე 2-ის ტოლია.

როგორც ვნახეთ, XIV სახის დიოფანტურ ოთხკუთხედზე ზოგ შემთხვევაში შემოიხაზება წრეწირი. ახლა გამოვიკვლიოთ ჩაიხაზება თუ არა ასეთი სახის დიოფანტურ ოთხკუთხედში წრეწირი?

**ამოცანა 2.**



მოც: □ABCD-ში ჩაიხაზება წრეწირი

$$\begin{cases} |AB| = |BD| = a; & |CD| = b; \\ |AC| = b + 1; \\ |AD| = 2 \\ a, b, |BC| \in \mathbb{N}. \end{cases}$$

$$(\square ABCD\text{-ში ჩაიხაზება წრეწირი}) \Rightarrow |BC| = |AB| + |CD| - |AD| = a + b - 2.$$

$$|BD| = \sqrt{|BE|^2 + |ED|^2} \Rightarrow |BE| = \sqrt{a^2 - 1}$$

$$|BE| = |BK| + |KE| = \sqrt{|BC|^2 - |KC|^2} + |CF| = \sqrt{(a+b-2)^2 - \left(\frac{2b+1}{4}\right)^2} + \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4}.$$

$$\text{ქ.ო. } \sqrt{a^2 - 1} = \sqrt{(a+b-2)^2 - \left(\frac{2b+1}{4}\right)^2} + \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4}$$

$$\Leftrightarrow \sqrt{16(a+b-2)^2 - (2b+1)^2} = \sqrt{16a^2 - 16} - \sqrt{12b^2 + 12b - 9} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} \sqrt{16a^2 - 16} - \sqrt{12b^2 + 12b - 9} > 0 \\ 16a^2 + 12b^2 + 32ab - 64a - 68b + 63 = 16a^2 - 16 + 12b^2 + 12b - 9 - 8\sqrt{(a^2 - 1)(12b^2 + 12b - 9)} \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 16a^2 > 12b^2 + 12b + 7 \\ -4ab + 8a + 10b - 11 = \sqrt{(a^2 - 1)(12b^2 + 12b - 9)}. \end{cases} \quad (1)$$

$$\begin{cases} a > 2; \\ b > 2. \end{cases} \Rightarrow -4ab + 8a + 10b - 11 \geq \sqrt{(2^2 - 1)(12 \cdot 2^2 + 12 \cdot 2 - 9)} = \sqrt{189} > 13 \Rightarrow 2a(b - 2) < 5b - 12 \quad (*)$$

$$(b > 2) \Rightarrow a < 2.5 - \frac{1}{b-2} < 2.5. \text{ ე.ი. } a = 2.$$

$$a=2 \text{ -ის (1) ში ჩასმით მივიღებთ: } \begin{cases} -8b + 16 + 10b - 11 = 3\sqrt{4b^2 + 4b - 3} \\ b \in N. \end{cases} \Leftrightarrow$$


$$\Leftrightarrow \begin{cases} 2b + 5 = 3\sqrt{4b^2 + 4b - 3} \\ b \in N \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 8b^2 + 4b - 13 = 0 \\ b \in N \end{cases} \Leftrightarrow b \in \emptyset$$

$$b=2 \text{ -ის (1) ში ჩასმით მივიღებთ: } \begin{cases} -8a + 8a + 20 - 11 = 3\sqrt{7(a^2 - 1)} \\ a \in N; a \geq 2. \end{cases} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases} 9 = 7(a^2 - 1) \\ a \in N; a \geq 2. \end{cases} \Rightarrow a \in \emptyset. \text{ ე.ი. ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.}$$

ახლა განვიხილოთ წრეწირში ჩახაზულობისა და წრეწირზე შემოხაზულობის საკითხი XV სახის დიოფანტური ოთხკუთხედებისათვის.

ამოცანა 3.



მოც:  $ABCD$  ჩახაზულია წრეწირში;

$$\begin{cases} |AB| = a; |BD| = a+1; |CD| = b; \\ |AC| = b+1; |AD| = 2; |BC| = c; \\ a, b, c \in N \end{cases}$$

( $\square ABCD$  ჩახაზულია წრეწირში)

$$\Rightarrow |BD| \cdot |AC| = |AB| \cdot |CD| + |BC| \cdot |AD| \Rightarrow (a+1)(b+1) = ab + 2c \Leftrightarrow c = \frac{a+b+1}{2};$$

$$\text{მართკუთხა } \triangle AEB \text{ და მართკუთხა } \triangle BED \text{ -დან } |AB|^2 - |EA|^2 = |BD|^2 - |ED|^2 \Rightarrow$$

$$\Rightarrow a^2 - |EA|^2 = (a+1)^2 - (|EA|+2)^2 \Leftrightarrow |EA| = \frac{2a-3}{4}.$$

$$\text{ანალოგიურად } |DF| = \frac{2b-3}{4}. |EF| = |EA| + |AD| + |DF| = \frac{2a-3}{4} + 2 + \frac{2b-3}{4} = \frac{a+b+1}{2}.$$


ე.ი.  $|EF| = |BK| = |BC|$ . მივიღეთ, რომ  $ABCD$  მართკუთხედაა. ამიტომ

$$|BE| = |CF| \Rightarrow \frac{\sqrt{12a^2 + 12a - 9}}{4} = \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4} \Leftrightarrow a(a+1) = b(b+1) \Leftrightarrow a = b.$$

ე.ი.  $c = \frac{a+a+1}{2} = \frac{2a+1}{2} \notin N.$

ეს კი შეუძლებელია. ამიტომ ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.

**ამოცანა 4.**



მოც:  $\square ABCD$  შემოხაზულია წრეწირზე;

$$\begin{cases} |AB| = a; |BD| = a+1; |CD| = b; \\ |AC| = b+1; |AD| = 2; |BC| = c; \\ a, b, c \in N; b > a. \end{cases}$$

( $\square ABCD$  -ში ჩახაზულია წრეწირი).

$$\Rightarrow c+2 = a+b \Rightarrow c = a+b-2$$

$$|EF| = \frac{2a-3}{4} + 2 + \frac{2b-3}{4} = \frac{2a+2b+2}{4} = \frac{a+b+1}{2}$$

$$\sqrt{c^2 - \frac{(a+b+1)^2}{4}} = |CF| - |BE| = \frac{\sqrt{12b^2 + 12b - 9}}{4} - \frac{\sqrt{12a^2 + 12a - 9}}{4} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 2\sqrt{4c^2 - (a+b+1)^2} = \sqrt{12b^2 + 12b - 9} - \sqrt{12a^2 + 12a - 9} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 4\left(4(a+b-2)^2 - (a+b+1)^2\right) = 12b^2 + 12b - 9 + 12a^2 + 12a - 9 -$$

$$-2\sqrt{(12b^2 + 12b - 9)(12a^2 + 12a - 9)} \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \sqrt{(12b^2 + 12b - 9)(12a^2 + 12a - 9)} = -39 - 12ab + 42a + 42b \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \sqrt{(4b^2 + 12b - 3)(4a^2 + 4a - 3)} = -13 - 4ab + 14a + 14b \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow (4b^2 + 12b - 3)(4a^2 + 4a - 3) = (-13 - 4ab + 14a + 14b)^2 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 16a^2b^2 + 16ab^2 - 12b^2 + 16a^2b + 16ab - 12b - 12a^2 - 12a + 9 =$$

$$= 169 + 16a^2b^2 + 196a^2 + 196b^2 + 104ab - 364a - 364b - 112a^2b - 112ab^2 + 392ba \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 128ab^2 - 208b^2 + 128a^2b - 480ab + 352b - 208a^2 + 352a - 160 = 0 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 8ab^2 - 13b^2 + 8a^2b - 30ab + 22b - 13a^2 + 22a - 10 = 0 \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow 8ab^2 + 8a^2b + 22b + 22a = 13b^2 + 13a^2 + 30ab + 10 \quad (*)$$

$$\text{თუ } \begin{cases} b \geq a > 3; \\ a, b \in N. \end{cases} \text{ მაშინ } \begin{cases} 8ab^2 \geq 32b^2 > 26b^2 \geq 13a^2 + 13b^2; \\ 8a^2b = 8a(ab) \geq 32ab > 30ab; \\ 22a + 22b > 22 \cdot 3 + 22 \cdot 3 > 10 \end{cases} \Rightarrow$$

$$\Rightarrow 8ab^2 + 8a^2b + 22a + 22b > 13a^2 + 13b^2 + 30a + 10.$$


ე.ი.  $\begin{cases} a, b \in N; \\ b \geq a; \\ a \in \{1; 2; 3\}. \end{cases}$

$a = 1$ ,  $a = 2$  და  $a = 3$  –ის ჩასმით (\*)-ში მივიღებთ:

$$\begin{cases} 8b^2 + 8b + 22b + 22 = 13 + 13b^2 + 30b + 10; \\ 16b^2 + 32b + 22b + 44 = 52 + 13b^2 + 60b + 10; \\ 24b^2 + 72b + 22b + 66 = 117 + 13b^2 + 90b + 10. \\ b \in N. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} 5b^2 + 1 = 0; \\ b^2 - 2b - 6 = 0; \\ 13b^2 + 4b - 61 = 0. \\ b \in N. \end{cases} \Leftrightarrow (b \in \emptyset).$$

ე.ი. ასეთი დიოფანტური ოთხკუთხედი არ არსებობს.

**ამოცანა 5.** მოც:  $ABCD$  შემოხაზულია წრეწირზე;



$$\begin{cases} |CD|=b; |AD|=d_1; |AB|=a; |BC|=c; |AC|=d; \\ a+b=c+d; \quad (1) \\ |BD|=2; \\ d_1=2. \\ a, b, c \in N \end{cases}$$

1) თუ  $|BD|=2$ , მაშინ სამკუთხედის უტოლობით და (1)-ის გათვალისწინებით გვაქვს:

$$\text{I. } \begin{cases} b = c - 1; \\ d_1 = a - 1. \end{cases} \quad ; \text{ II. } \begin{cases} b = c; \\ d_1 = a. \end{cases} \quad ; \text{ III. } \begin{cases} b = c + 1; \\ d_1 = a + 1. \end{cases}$$

განვიხილოთ თითოეული მათგანი

I.  $(\square ABCD - \text{დან}) \begin{cases} 2 + d > c + a - 1; \\ d < (c - 1) + (a - 1); \end{cases} \Rightarrow \begin{cases} c + a - 3 < d < c + a - 2 \\ a, c, d \in N. \end{cases}$   
 $(\triangle ABC - \text{დან}) \begin{cases} a, c, d \in N. \end{cases}$   
 ეს კი შეუძლებელია.

II. ეს შემთხვევა განხილულია ლემა 1-ში.

III.  $(\square ABCD - \text{დან}) \begin{cases} d + 2 > (a + 1) + c; \\ d < a + c; \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a + c - 1 < d < a + c; \\ a, c, d \in N. \end{cases}$   
 $(\triangle ABC - \text{დან}) \begin{cases} a, c, d \in N. \end{cases}$   
 ეს კი შეუძლებელია.

ე.ი. არ არსებობს წრეწირზე შემოხაზული დიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის დიაგონალის სიგრძე 2-ის ტოლია.

**შენიშვნა:** შემთხვევა, როდესაც წრეწირში ჩახაზული დიოფანტური ოთხ-კუთხედის დიაგონალის სიგრძე ტოლია 2-ის, განხილულია მე-7 ამოცანაში.


როგორც უკვე იყო აღნიშნული, მთელირიცხვა გეომეტრიული ფიგურების შესწავლით მათემატიკოსები დაინტერესებული იყვნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე, მიუხედავად ამისა, ამ სფეროში ერთეული გადაჭრილი ამოცანები ისე გვხვდება, როგორც ოაზისები გობის უდაბნოში. ასეთი შედეგის მიზეზი არის ისეთი ერთიანი მეთოდის არ არსებობა, რომელიც მოგვცემდა საშუალებას ყოველი დიოფანტური გეომეტრიული ფიგურის თვისებების შესწავლისათვის ამ ფიგურის მახასიათებელი განტოლებიდან (განტოლებათა სისტემიდან) დახვეწილი ლაკონური ხერხით მიგველო შესაბამისი, რამდენადაც შესაძლებელია მარტივი დიოფანტური განტოლება (განტოლებათა სისტემა) და ამასთან მოგვცემდა ამ განტოლებათა (განტოლებათა სისტემის) ამოხსნის ოპტიმალური გზის აღწერას. ამ ნაშრომში ჩვენ შევცხებით ამ საკითხსაც.

ჩვენ მიერ მე-3 §-ში დამტკიცებულია, რომ არ არსებობს ისეთი დიოფანტური  $n$ -კუთხედი ( $n > 3$ ), როგორც ამოხსნილი, ასევე ჩაზნეკილი, რომლის რომელიმე გვერდის ან რომელიმე დიაგონალის სიგრძე 1-ის ტოლია.

მაშასადამე, **ამოცანა \* ( $n; 1$ )** გადაჭრილია მთლიანად.

როგორც ზემოთ ვნახეთ,  $k=2$ -სათვის **ამოცანა\* ( $n; 2$ )**-ის გადაჭრა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს  $n=4$ -სათვისაც კი – ანუ ოთხკუთხედების შემთხვევაში. კერძოდ, როგორც ქვემოთ ვნახავთ იმ გამარტივებულ შემთხვევაშიც კი, როდესაც დიოფანტური ოთხკუთხედის ორი გვერდი პარალელურია (დანარჩენი ორი ან პარალელურია, ან არა)  $k=2$ -სათვის **ამოცანა\* ( $n; k$ )**-ს ამოხსნა ერთობ შრომატევადია.

**ამოცანა 6.** ვიპოვოთ ყველა ისეთი დიოფანტური პარალელოგრამი და დიოფანტური ტრაპეცია, რომლის რომელიმე გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 2-ის ტოლია.



ცნობილია, რომ ყოველი დიოფანტური ოთხკუთხედის თითოეული გვერდისა და დიაგონალის სიგრძე 1-ზე მეტია, და თუ დიოფანტურ  $\triangle MNP$ -ში  $|MN|=2$  და  $|MP|=|NP|+k$ , მაშინ  $k \in \{-1; 0; 1\}$ .

ვთქვათ ამოცანის პირობას აკმაყოფილებს  $\square ABCD: [BC] \parallel [AD]$ ;  
 $|AB|=a; |CD|=b; |BC|=c; |AD|=d; |AC|=d_1; |BD|=d_2$ .  
 $a, b, c, d, d_1, d_2 \in \mathbb{N} \setminus \{1\}$ .

გავავლოთ:  $[CE] \parallel [BD]; [BE_1] \parallel [CD]; E_1 \in [AD]; D \in [AE]$  .

ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ  $a \leq b$  და  $d \geq c$ . ადვილი საჩვენებელია, რომ  $d_1^2 + d_2^2 = a^2 + b^2 + 2cd$  (1) და  $d_2 \geq d_1$  (2)

განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:



I.  $c = 2$ .  $\Delta ABC$  და  $\Delta BDC$  -დან გვაქვს:  $d_1 \in \{a-1; a; a+1\}$ ;  $d_2 \in \{b-1; b; b+1\}$ .

ამ შემთხვევაში საკითხის გადასაჭრელად განხილული უნდა იქნეს 9 შემთხვევა, ხოლო როგორც შემდეგ ვნახავთ  $a = 2$  -ისათვის კი – 27 შემთხვევა. ეს იმდენად შრომატევადი სამუშაოა, რომ ურთულესი პრობლემის გადაჭრის შემთხვევაშიც კი, მუშაობის ყოველგვარ სურვილს დაგიკარგავთ. აქ ჩვენ შემოგთავაზებთ მეთოდს, რომელიც ამ ტიპის ამოცანების ამოხსნისას განსახილველ ვარიანტთა რიცხვს არნახულად ამცირებს.

ვთქვათ  $d_1 = a+k$  და  $d_2 = b+t$  (3). ცხადია,  $k \in \{-1; 0; 1\}$  და  $t \in \{-1; 0; 1\}$ . (3)-ის შეტანით (1)-ში  $(a+k)^2 + (b+t)^2 = a^2 + b^2 + 4d$ , საიდანაც გამარტივებით მივიღებთ

$$2(2d - ak - bt) = b^2 + t^2. \quad (4)$$

ცხადია  $k^2 + t^2 \neq 0$ . ამიტომ (4)-დან იმის გათვალისწინებით, რომ  $k, t \in \{-1; 0; 1\}$ , გვაქვს:  $k^2 = t^2 = 1$ . ე.ი.  $k, t \in \{-1; 1\}$ . (4)-ში შეტანით მივიღებთ ოთხ განტოლებას:

$$2d + a + b = 1 \quad (5); \quad 2d - a + b = 1 \quad (6); \quad 2d + a - b = 1 \quad (7); \quad 2d - a - b = 1 \quad (8)$$

$\Delta ABE_1$  -იდან:  $(d-c) + a \geq b$ ;  $(d-c) + b \geq a$  (ტოლობებს ადგილი აქვს, როცა  $d = c$  და  $a = b$ ). ე.ი.  $d + a - b \geq 2$  და  $d - a + b \geq 2$ , ანუ (5)-ს, (6)-ს და (7)-ს, მოცემული შეზღუდვებით, არ გააჩნიათ ამონახსნი ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში. რაც შეეხება (8)-ს, ამ შემთხვევაში  $k = t = 1$ . ე.ი.  $d_1 = a+1$  და  $d_2 = b+1$ . ადვილი საჩვენებელია, რომ

$$(d+c)(a-b)(a+b) = (d-c)(d_1-d_2)(d_1+d_2). \quad (9)$$

(ეს ფორმულა სამართლიანია, როგორც  $ABCD$  ტრაპეციისათვის, ასევე  $ABCD$  პარალელოგრამისათვის). თუ გავითვალისწინებთ, რომ:  $c = 2$ ;  $d_1 = a+1$ ;  $d_2 = b+1$  და  $a+b = 2d$ , მაშინ (9)-დან მივიღებთ:  $(d+2)(a-b)(2d-1) = (d-2)(a-b)(2d+1) \Leftrightarrow (a-b)((d+2)(2d-1) - (d-2)(2d+1)) = 0 \Leftrightarrow 6(a-b)d = 0 \Leftrightarrow a = b$ , მაგრამ ამ შემთხვევაში (8)-ის მარცხენა მხარე ლუწი იქნება, მარჯვენა კი – კენტი, რაც შეუძლებელია. ე.ი.  $c > 2$ .

II.  $2 = a < c \leq d$   $\Delta ABC$ ,  $\Delta ABE_1$  და  $\Delta ABD$  -დან მივიღებთ, რომ:  $d_1 \in \{c-1; c; c+1\}$ ;

$$b \in \{d-c-1; d-c; d-c+1\}; \quad d_2 \in \{d-1; d; d+1\}. \quad (10)$$

$\angle ABC$  ან  $\angle BAD$  არამახვილია, ამიტომ  $d_1 = c+1$  ან  $d_2 = d+1$ . თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ  $\Delta BCD$  -დან  $b+c > d_2$  და  $b+c \in \{d-1; d; d+1\}$ , მივიღებთ რომ  $d_2 < d+1$ . ე.ი. დაგვრჩა  $d_1 = c+1$ . ე.ი. (10) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$2 = a < c \leq d; \quad d_1 = c+1; \quad b \in \{d-c-1; d-c; d-c+1\}; \quad d_2 \in \{d-1; d\}. \quad (11)$$

აქაც I-ის ანალოგიურად ვთქვათ  $b = d-c+m$  და  $d_1 = d+n$  (12). ცხადია რომ:  $m \in \{-1; 0; 1\}$  და  $n \in \{-1; 0\}$  (13). (12)-ის (1)-ში ჩასმით მივიღებთ:

$$(c+1)^2 + (d+n)^2 = 2^2 + (d-c+m)^2 + 2dc \Leftrightarrow 2(dm - cm - c - dn + 2) = n^2 - m^2 + 1. \quad (14)$$


ე.ი.  $n^2 - m^2 + 1 \equiv 0 \pmod{2}$  (15). (13)-ის (15)-იდან გვაქვს:  $n = 0$ ;  $m \in \{-1; 1\}$  (16) (თუ  $n^2 - m^2 + 1 = 2$ , მაშინ  $d = c - 1$ , რაც შეუძლებელია. ე.ი.  $n^2 - m^2 + 1 = 0$ , საიდანაც მიიღება (16)). ე.ი.

$$\begin{cases} n^2 - m^2 + 1 = 0; \\ 2(dm - cm - c - dn + 2) = 0. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} n = 0, m \in \{-1; 1\}; \\ dm - cm - c + 2 = 0. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} -d + c - c + 2 = 0; \\ d - c - c + 2 = 0. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} d = 2; \\ d = 2c - 2. \end{cases}$$

$d = 2$  შეუძლებელია, ვინაიდან  $d > c > a = 2$ .

$d = 2c - 2$  -ისათვის მივიღებთ:  $b = c - 1$ ;  $d_2 = 2c - 2$ ;  $d_1 = c + 1$ ;  $a = 2$ . ამ მონაცემების (9)-ში შეტანით მივიღებთ:

$$\begin{cases} (3c - 2)(3 - c)(c + 1) = (c - 2)(3 - c)(3c - 1); \\ c \in \mathbb{N} \setminus \{1\}. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} c = \frac{1}{2}; \\ c = 3. \end{cases} \Leftrightarrow c = 3. \\ c \in \mathbb{N} \setminus \{1\}.$$



სურ. 7

მაშასადამე ჩვენ მივიღებთ XII-ზე გამოსახულ ტრაპეციას. (იხ. სურ. 7). (აქ შევნიშნოთ, რომ ეს იყო ნაპოვნი (1989 წელს) პირველი დიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის გვერდის სიგრძე ტოლია 2-ის).

III.  $d_2 > d_1 = 2$ . მაშინ  $\triangle ABC$ ,  $\triangle BDC$  და  $\triangle ACE$  -დან გვაქვს:  $a \in \{c - 1; c; c + 1\}$ ;  $b \in \{d - 1; d; d + 1\}$ ;  $d_2 \in \{d + c - 1; d + c\}$ . ამასთან  $d_2 \neq d + c + 1$  ვინაიდან  $d_2 < b + c \leq d + c + 1$ . აქაც ისევე, როგორც II-ში ვთქვათ:  $a = c + l$ ;  $b = d + p$  და  $d_2 = d + c + k$  (17). ცხადია აქაც  $l, p \in \{-1; 0; 1\}$ ;  $k \in \{-1; 0\}$ ; (18). (17)-ის შეტანით (1)-ში მივიღებთ:

$$2^2 + (d + c + k)^2 = (c + l)^2 + (d + p)^2 + 2cd \Leftrightarrow 2(ck + dk - lc - dp + 2) = l^2 + p^2 - k^2. \quad (19)$$

(19)-იდან გვაქვს:

$$l^2 + p^2 - k^2 \equiv 0 \pmod{2} \Leftrightarrow \left\{ \begin{array}{l} l = p = k = 0, \text{ ან } \\ \left\{ \begin{array}{l} l = 0; \\ p = \pm 1; \\ k = -1. \end{array} \right. \text{ ან } \left\{ \begin{array}{l} p = 0; \\ l = \pm 1; \\ k = -1. \end{array} \right. \text{ ან } \left\{ \begin{array}{l} k = 0; \\ l = \pm 1; \\ p = \pm 1. \end{array} \right. \end{array} \right. \quad (20)$$


ამ მნიშვნელობათათვის პირველ სამ შემთხვევაში  $ck + dk - lc - dp + 2 = 0$  (21<sub>1</sub>), ხოლო მეოთხე შემთხვევაში  $ck + dk - lc - dp + 2 = 1$  (21<sub>2</sub>).

მოსინჯვით ადვილად ვრწმუნდებით, რომ (21<sub>1</sub>) და (21<sub>2</sub>), (20) პირობებით, არ არსებობს.

საბოლოოდ გვაქვს, რომ ასეთი დიოფანტური პარალელოგრამი არ არსებობს, ხოლო დიოფანტური ტრაპეციებიდან მხოლოდ ერთადერთი აკმაყოფილებს ამოცანის პირობას. (იხ. სურ. 7). განვიხილოთ კიდევ ერთი ამოცანა.

**ამოცანა 7.** ვიპოვოთ წრეწირიში ჩახაზული ყველა ისეთი დიოფანტური ოთხკუთხედი, რომლის გვერდის ან დიაგონალის სიგრძე 2-ის ტოლია.

ვთქვათ  $\triangle ABCD$  აკმაყოფილებს ამოცანის პირობას და მისი რომელიმე გვერდის სიგრძე, ზოგადობის შეუზღუდავად, ვთქვათ:



სურ. 8

$$c = 2; \quad m = a + k; \quad n = b + l. \quad (22)$$


ცხადია  $k, l \in \{-1; 0; 1\}$ . (23) პტოლემეას თეორემით გვაქვს:  $mn = ab + cd$  (24). (22)-ის (24)-ში ჩასმით და გამარტივებით მივიღებთ  $al + bk + lk = 2d$  (25). (23)-ის გათვალისწინებით (25)-იდან გვაქვს:  $-b - a + 1 = 2d$  (26);  $-b + a - 1 = 2d$  (27);  $-b = 2d$  (28);  $-a = 2d$  (29);  $0 = 2d$  (30);  $a = 2d$  (31);  $b - a - 1 = 2d$  (32);  $b = 2d$  (33);  $b + a + 1 = 2d$  (34).

ცხადია (26), (28)-ს (29)-სა და (30)-ს, მოცემული შეზღუდვებით, არ გააჩნიათ ამონახსნები ნატურალურ რიცხვებში. ასევე არ გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში (27)-ს, ვინაიდან ამ შემთხვევაში  $\triangle ABD$ -დან  $|AB| = a < |BD| + |AD| = b + 1 + d < b + 1 + 2d$ . ანალოგიურად მივიღებთ, რომ (32)-ს არ გააჩნია ნატურალურ რიცხვებში ამონახსნი. ახლა ვაჩვენოთ, რომ მოცემული შეზღუდვებით არც (34)-ს გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში. დავუშვათ საწინააღმდეგო. ვთქვათ  $\triangle ABCD$  აკმაყოფილებს ამოცანის პირობას. ამ შემთხვევაში გვაქვს:  $|CD| = b$ ;  $|AD| = d = \frac{a+b+1}{2}$ ;  $|AB| = a$ ;  $|BC| = 2$ ;  $|AC| = a+1$ ;  $|DB| = b+1$ . ავაგოთ:  $E, F \in (CB)$ ;  $[DF] \perp (CB) \perp [AE]$ ;  $K \in [EA] \perp [DK]$ .

მართკუთხა  $\triangle AEB$  და  $\triangle AEC$ -დან  $|AB|^2 - |BE|^2 = |AE|^2 = |AC|^2 - |CE|^2$ . ე.ი.  $a^2 - |BE|^2 = (a+1)^2 - (2 + |BE|)^2 \Leftrightarrow |BE| = \frac{2a-3}{4}$ . ანალოგიურად  $|FC| = \frac{2b-3}{4}$ .  $|EF| = |FC| + |CB| + |BE| = \frac{2a-3}{4} + 2 + \frac{2b-3}{4} = \frac{a+b+1}{2} = |AD|$ . ე.ი.  $|DK| = |AD|$  და  $|AK| = 0$  ანუ  $|DF| = |AE|$ .

$$\Rightarrow \sqrt{|AB|^2 - |BE|^2} = \sqrt{|CD|^2 - |FC|^2} \Leftrightarrow \sqrt{a^2 - \left(\frac{2a-3}{4}\right)^2} = \sqrt{b^2 - \left(\frac{2b-3}{4}\right)^2} \Rightarrow a(a+1) = b(b+1) \Rightarrow a = b.$$

$$\text{ე.ი. } d = \frac{a+b+1}{2} = \frac{2a+1}{2} \notin N.$$



სურ. 9


ეს კი შეუძლებელია. ე.ი. ჩვენი დაშვება მცდარია ანუ (34)-ს მოცემული შეზღუდვებით არ გააჩნია ამონახსნი ნატურალურ რიცხვებში. დაგვრჩა განსახილველი იდენტური განტოლებები (31) და (33).

$$|AE| = 1 + \frac{2a-3}{4}; \quad |DK| = \sqrt{d^2 - \left(\frac{2a+1}{4}\right)^2}. \quad |AE| = |KF| = \sqrt{\frac{12a^2 + 12a - 9}{4}}.$$

$$\sqrt{|DB|^2 - |FB|^2} = |DF| = |DK| + |KF| = \sqrt{d^2 - \left(\frac{2a+1}{4}\right)^2} + \sqrt{\frac{12a^2 + 12a - 9}{4}}$$

საიდანაც გვაქვს:  $\left(\frac{3d^2}{a^2+a} - 1\right)^2 = 0 \Leftrightarrow ((2a+1)^2 - 12d^2 = 1)$  (\*).

ეს შემთხვევა დადის ჩვენ მიერ განხილულ XIV-ზე. ახლა ვთქვათ წრეწირში ჩახაზული დიოფანტური  $\triangle ABCD$ -ის, რომელიმე დიაგონალის სიგრძე, ზოგადობის შეუზღუდავად ვთქვათ:



სურ.10

